


„ხარს ვგვიერ ხაილადარს, რქით მიწასა ეჩხვერ ვბუბუნებ.
ღმერთო, სამშობლო მიცხხლე, მძინარეც ამას ვღუღუნებ.“

31-ე



თავისუფლება

825 /3
1980



საქართველოს ბანთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორბანო

გამოცემის პასუხისმგებელი : გიორგი წერეთელი.

TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA

Journal périodique en langue géorgienne

№ 30 PARIS. SEPT EMBRE 1980 სექტემბერი პარიზი № 30

გამოცემის მუქქვსე წელი

ღიდება უებარ მამული შვილებს -
1924 წლის აგვისტოს ეროვნულ აჯანყების მონაწილებს.

შინაარსი

- .2 თავისუფლებისათვის ბრძოლის აგვისტო მოწინავე
- .4 სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორეს სიტყვა წარმოთქმული პარიზში 1980 წლის 10 თებერვალს.
- .9 ს.ს.რ.-ს მაერთიანებელი ძალები: პოლიტიკური და სამხედრო ხელისუფლება.
ჯარი: ინტეგრაციის იარაღი? (დასასრული) ელენ კარერ დ'ანკოს
- .12 ზოგიერთი შენიშვნები ალექსანდრე სულხანიშვილი
- .17 სამშობლოს ქრონიკები რედაქცია
- .22 ოთარ იოსელიანის ფილმები პარიზელი იმერელი
- .23 აჰმედ მელაშვილის ტრადიციული სიკვდილი „ო.ტ.“
- .24 სამგლოვიარო განცხადებები და უკანასკნელ მსოფლიო ომში დაღუპულ ქართველთა ძეგლის შესახებ ძეგლის კომისიის წევრი
- .26 სამხედრო ვადატრიალება თურქეთში და შემოწირულებები.



თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ბ რ ძ ო ლ ი ს ა გ ვ ი ს ტ ო

„...ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან.“—შოთა

ლიხაბც, ცადასლუნი და უკვდავნი არიან ისინი, ვინც მონაწილეობდნენ 1924 წლის აგვისტოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ აჯანყებაში და იქ დაიღუპნენ ბრძოლის ველზე.

არა, ჩვენ არ ვტყობთ მათ! ჩვენ ვეთაყვანებით მათ ნათელ სსოვნას!

—ჩვენ დავტყობთ და ვგლოვობთ იმ უთვალავ თანამემამულეებს, რომლებიც შემდეგ წლებში დააპატიმრეს, ზოგი მაშინვე ადგილზევე დახვრიტეს, ზოგიც არაადამიანურ პირობებში დაიღუპა კატორღებში ისე, რომ არ იცოდნენ რატომ ან რისთვის?

—ჩვენ დავტყობთ და ვგლოვობთ იმ ასეულ ათასობით ახალგაზრდას, რომლებიც 1941-45 წლებში გამორჩევის ომის სასაკლაოზე და იქ დაიხოცნენ მათი სამშობლოს მპყრობელი, სისხლიანი საბჭოთა რეჟიმის დასაცავად.

—არა, ჩვენ არ ვტყობთ და არ ვგლოვობთ აგვისტოს გამირებს, რომლებმაც მტრებს გამოგოიჯეს იარაღი და ეკვეთნენ, რათა მოეპოვებინათ თავისუფლება, ღირსება და კაცური კაცობა. ჩვენ ვეთაყვანებით მათ სახელებს, რადგანაც მათ გაიღეს უზუნაღი მსხვერპლი,—სიცოცხლე. ის მათ გაიღეს შეგნებულად, იმისთვის, რომ სამშობლოს ელდეგობები დაეცა. მიუხედავად დამარცხებისა მათი მსხვერპლად უქმად არ არის დაკარგული. ისინი უხვად ანოუებრებენ ჩვენს მიწა-წყალს და მათი წყალობით ხარობს და იხარებს ტოტებგადაგრებილი ქართული ცხოვრების ხე.

—დამარცხება და დამარჯვება ძმები არიან. რა უყოთ, რომ ისინი დამარცხდნენ.

მათი საქმე უკვდავია. საქართველოს განთავისუფლება გარდაუვალია.

იმ აგვისტოს დაუვიწყარ დღეებიდან 56 წელიწადი გვაშორებს. იქნება მაშინ ჩვენი აჯანყებულები მამულიშვილები წყაყი კი აძღვედნენ თავს ანგარიშს, რომ მათი ვაჟკაციური შემართება მართო ქართული, ეროვნული მნიშვნელობის კი არ იყო, არამედ, აგრეთვე, საკაცობრივოც, რადგანაც ბოროტებას, რომელსაც ისინი ებრძოდნენ, ჰქონდა საკაცობრივი ხასიათი. მას შემდეგ იმ ბოროტებამ ფესვები კიდევ უფრო ფართოდ და შორს გაიდგა. დღეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღებული მსოფლიოს ყველა კუთხეში კრემლის ბოროტებასა და თავისუფლების ძალებს შორის. ამითავე აქ განსაკუთრებით შეგვირდებით ავღანეთზე და პოლონეთზე, რადგანაც, ჩვენი აზრით, მათ ენიჭებათ განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც დღევანდელი გამოცხადებით ისე მომავლის პერსპექტივებითაც.

ა ვ ღ ა ნ ე თ ი

ამ ქვეყანაში ბრძოლა შემოსულ საბჭოთა ჯარებსა და აჯანყებულ პატრიოტებს შორის გრძელდება. შესვების პირველ თვეებში, საბჭოთა პროპაგანდა მდგომარეობას ისე წარმოუდგენდა თავის მოსახლეობას თითქოს ავღანეთი ხალხი ყუვავილებით ეგებებოდა საბჭოთა ჯარებს. ხანგრძლივად შიშველი ხმლის ხალხთა იმ დამაღვა შეუძლებელი გახდა, განსაკუთრებით როცა იწყო იქიდან მოსვლა ათასობით დაღუპულ ჯარისკაცთა კუბოებმა, კრემლი იძულებული გახდა ელიარებია, რომ საბჭოთა ჯარებს ავღანეთში უხდებოდათ მოქმედება ძალიან მძიმე პირობებში, რომ ავღანელი მემამოხენი განსაკუთრებით ვერაგნი და დაუნდობელი არიან და თანაც მათ წვრთნიან და აიარაღებენ ამერიკის, ჩინეთის, პაკისტანის, არაბებისა და სხვა მტრულად განწყობილი მთავრობები და წრეები. მგლოვიარე საბჭოთა მშობლებს არ გაუჭირდებათ მათი უმედურების თავი და თავი მიზეზის მიკვლევა და ამან არ შეიძლება ძილი არ დაუფრთხოს ბრევენეს და მის პარტიულ თანახელმძღვანელობას კრემლისას. ავღანეთი ჩაკეტილია საერთაშორისო თვალისთვის, ოცციალური ცნობები არ ქვეყნდება, ამიტომ ძნელია შეუმდებარად ითქვას თუ რას აღწევს საბჭო. საოკუპაციო ჯარების დანაკარგი. მაგრამ ის რომ მნიშვნელოვანია ეს კი უდავოა. უდავოა ისიც, რომ კრემლი შორსაა ავღანეთში პოლიტიკური „ნორმალიზაციისაგან“, რომელსაც ის უშეკვერად სულ მალე იმედოვნებდა დასაწყისში, ხოლო ხანგრძლივი ომის წარმოება, ისეთი არაპოპულარული ომისა, როგორც ავღანეთში მიმდინარეობს, დიდ შინაურ ხიფათს უმზადებს პოლიტიკურად დანადმულ და ეკონომიურად გაღატაკებულ მოსკოვის იმპერიას.

პ ო ლ ო ნ ე თ ი

ამ აგვისტოში, საბჭოთა რეჟიმს უმთავრესი საფრთხე მაინც პოლონეთის მხრიდან ელოდა. ყველაფრიდან ჩანს, რომ პოლონეთის კრიზისი მისთვის მოულოდნელი იყო და ის უეტრად საბედო-

სწერო არჩენის წინაშე დაყენა. ივლის-აგვისტოში კაცობრიობის გულისყური მიპყრობილი იყო პოლონეთისკენ სადაც მუშათა ვაფიცვები მიმდინარეობდა. ვაფიცვების საბაზი გასაძინებელი მთავრობის მიერ ხორცზე ფასების მომატება, მაგრამ მისი მიზნები უფრო ღრმა და მთავარი იყო და ეს უკმაყოფილება კიდევაც გამოხატეს ვაფიცულმა მუშებმა თავიანთ მოთხოვნოვანი ლეტებში. ვაფიცვებმა განსაკუთრებით სერიოზული სახე მიიღეს განსისკის, ვაფიცვისა და სოპრტის სავოევლოვებში კერძოდ და პოლონეთის ბალტიისპირის მხარეში საერთოდ. თვითოველმა საწარმომ აირჩია ვაფიცვის კომიტეტი და შემდეგ შეიქმნა ამ კომიტეტების შორის საერთო კომიტეტი, რომელიც აწარმოებდა მოლაპარაკებას მთავრობასთან. ვაფიცვის კომიტეტმა შეიმუშავა 21 მუხლისაგან შემდგარი მოთხოვნოვანი ლეტები. ეკონომიური ხასიათის მოთხოვნების გვერდით იქ წამოყენებული იყო ისეთი პოლიტიკური საკითხები, როგორცაა: პარტიისა და ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი პროფკავშირების შექმნის, ვაფიცვების უფლების, ვაფიცვების შედეგად მოხსნილი მუშა-მოსამსახურეთა თავიანთ თანამდებობებზე აღდგენის, ცენზურის გაუქმების, პოლიტპატიმრების დაუყოვნებლივ განთავისუფლების, სიტყვის, წერის და ჩვენის თავისუფლება, ყველა ეკლესიის დაშვება რადიოსა და ტელევიზიაში და სხვა მოთხოვნოვანი ლეტები. პოლონეთის მთავრობამ, ელუარდ გერეკის პირით, უარი განაცხადა პოლიტიკურ ხასიათის მოთხოვნებზე მოლაპარაკების გამართვაზე, მაგრამ მუშების სიმტიცემ გაიმარჯვა და ბოლოს მთავრობა იძულებული გახდა დათანხმებულიყო ვაფიცულ მუშების ყველა მოთხოვნა შეესრულებია თანდათანობით.

აქვე უნდა ხაზგასმით ითქვას, რომ პოლონელმა მუშებმა შესანიშნავი დისციპლინა, დარაზმულობა და მაღალი პოლიტიკური დონე გამოამჟღავნეს. მთელ ვაფიცვების განმავლობაში, რომელიც ორ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა, ადგილი არ ჰქონებია არავითარ უწყსრივობას, არც პროვოკაციებს. ამან, ერთი მხრით, ვაფიცულებს შესძინა დიდი საერთაშორისო სიმპატიები და, მეორე მხრით, საბჭოთა მთავრობას არ მისცა არავითარი საბაზი სამხედრო ინტერვენციისათვის.

პოლონეთის კრიზისმა ცხადყო, რომ არც პარტიას და არც მის პროფკავშირებს არავითარი დასაყრდენი არ გააჩნდა მასებში და ორივე ხუხუფასავეთ დიშნადა, როგორც კი მათ დაუპირდაპირდა ხალხის მიერ არჩეული ორგანიზაცია. ავადმყოფობის მომიზეზებით, კრიზისმა იმსხვერპლა პარტიის პირველი მდივანი და სახელმწიფოს მეთაური, ელუარდ გერეკი. მისმა შემეცვლელმა, სტანისლავ კანამ საჯაროდ განაცხადა, რომ შეასრულებს ყველა იმ პირობებს, რომლებზედაც მთავრობის კომისიამ ხელი მოაწერა და შეუდგა, როგორც მოწილ განიხაცის. ამით პოლონეთის კრიზისის პირველი ნაწილი დასრულებულია მუშების და საერთოდ პოლონელი ხალხის სრული გამარჯვებით, მაგრამ ეს გამარჯვება ჯერ მხოლოდ ქალაქებში და მისი ხორცის შესხმა მომავლის საკითხია.

მთავარი საკითხია ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი პროფკავშირების დაარსება და მისი ამოქმედება. განსისკის ვაფიცვის კომიტეტი, რომელსაც ლებ ვალეცა ასე წარმატებით მეთაურობდა, უკვე იქცა დროებით პროფკავშირად. მან შეიმუშავა წესდება და სახელად უწოდეს „სლოიდარობა“. სოლიდარობის წესდება და დაარსების თხევანა შეტანილია სადაც ჯერ-არს და მომავალი გვიჩვენებს თუ მას ოფიციალური არსებობის უფლება მიეცემა პოლონეთში. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მისი მთავრობა სასტიკად გმობს მთავრობისგან დამოუკიდებელ პროფკავშირების იდეას და 25 სექტემბრის „პრავდა“, ლენინის მოწვევებით მათ უწოდებს „ბურჟუაზიის ყველაზე უხეშ პროფკავშირს“. საბჭოთა მთავრობის ასეთი რეაქცია სრულებითაც გასაკვირი არ არის. მან რომ დაუშვას სხვა მისგან დამოუკიდებელი ავტორიტეტი, მით უფრო პროფკავშირული კავშირები, ეს იქნება დასაწყისი მისი ბატონობის დასასრულისა. ისიც აშკარაა, რომ პოლონეთში მომხდარ ასეთ მნიშვნელოვან ცვლილებებს გადამდები ხასიათი ექნება, როგორც საბჭოთა კავშირზე ისე მის სატელიტებზე. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში კრემლი შეეცდება პოლონეთის ახალ ხელმძღვანელებს წინაშე წააღებელი გაეცემული თამასუბები. თუ კანამ კრემლის ეს იმედები ვერ გააპართა მაშინ ისიც შეეწირება კრემლის კომუნისტურ იდეალებს, როგორც მისი წინამორბედი გერეკი, მაგრამ თუ პოლიტიკური ხრიკები არ გავიდა, მაშინ კრემლი არ დაერიდება პოლონეთის კრიზისის ისევე გადაწყვიტოს, როგორც გადაწყვიტა უნგრეთის კრიზისი 1956 წელს ჩეხოსლოვაკიის



გაზეთი
თავისუფლების ტრიბუნა

უ წ მ ი დ ე ს ი ს ა და უ ნ ე ტ ა რ ე ს ი ს ს რ უ ლ ე რ ე ს ე რ ე ს ე
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ა თ ო ლ ი კ ო ს - პ ა ტ რ ი ა რ ქ ი ს
ი ლ ი ა მ ე ო რ ე ს ს ი ტ ყ ვ ა

წარმოთქმული პარიზის ქართულ წმინდა ნინოს ეკლესიაში 1980 წლის 10 თებერვალს.

თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, თქვენო მაღალღირსებავ მამაო ილია, ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო და დანო, თანამემამულენო, ჩვენო საყვარელო სულიერო შვილებო! დღეს არის ჩვენთვის განსაკუთრებული დღე, დღე სიხარულისა, დღე, როდესაც ჩვენ მოგვეცა საშუალება, ღვთის ლოცვა-კურთხევით, მოკსულიყავით ამ შორეულ ქვეყანას და თქვენთან ერთად აღგვევიანა ლოცვები წინაშე ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რათა უფალი ჩვენი მაცხოვარი მამა ძე და სული წმინდა მარად ყოფილიყვეს მფარველი საქართველოსი, მფარველი ყოველი ქართველი ადამიანისა.

დღეს ნამდვილად განსაკუთრებული დღეა ჩემთვისაც და თქვენთვისაც; დღეს არის ნამდვილად ისტორიული დღე და ჩვენ დიდი სიხარულით მოვედით აქ, ვიცოდით, რომ აქ, ამ შორეულ ქვეყანა საფრანგეთში არის პატარა კერა, ქართული ეკლესია წმინდა ნინოსი, სადაც ქართულად აღავლენენ წირვა-ლოცვას. და აი ეს სიახლოვე, ეს ეროვნული სიახლოვე, ეს სულიერი სიახლოვე იგრძნობოდა ჩვენში და გვეძახდა ჩვენ აქ საფრანგეთში. ამასთან ერთად ამას დაემთხვა მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს აღმასკომის კრება, სადაც მე გახლავართ, როგორც თქვენ იცით, ერთერთი პრეზიდენტი.

ქართველ ერს მუდამ ახასიათებდა ორი რამ: პირველი მისი ეროვნული გრძნობა და მეორე მისი რწმენა, მისი ქრისტიანობა. ეს ორივე გრძნობა ჩაქსოვილი იყო ქართველი ადამიანის სულში, ქართველი ადამიანის ბუნებაში, და ეს ორივე გრძნობა ისე მტკიცედ იყო გაერთიანებული ქართველ ადამიანში, რომ ეს ორივე გრძნობა გვიცავდა ჩვენ მთელი საუკუნოების განმავლობაში. როდესაც ჩვენ ვუყურებთ ჩვენს წარსულს, როდესაც ჩვენ ვუყურებთ იმ ავბედობას რაც შეხვედრია ქართველ ერს და საქართველოს, ჩვენ მივიღებთ იმ დასკვნა-რევე, რომ ღმერთი რომ არ ყოფილიყო საქართველოს მფარველი და ქართველი ადამიანის მფარველი, ეს ორი გრძნობა რომ არ ყოფილიყო ქართველ ადამიანში, ალბათ, დღეს ალარ იქნებოდა ქართველი ადამიანი, ალარ იქნებოდა ქართული ენა და ქართული წირვა-ლოცვა.

აი, როცა ჩვენ მივმართავთ ჩვენს მრევლს, როცა ვასრულებთ წირვა-ლოცვას საქართველოს სხვადასხვა ტაძრებში, მე მუდამ მოვავიწყებ ამას, რომ ამას უნდა ვავფერხობოდეთ ჩვენ; აი ამ ორ გრძნობას უნდა ვავფერხობოდეთ, და აი ეს ორი გრძნობა - ეროვნული და ქრისტიანული გრძნობა - უნდა განმტკიცდეს. ჩვენი ერი მუდამ ერთად იყო ჩვენი ეკლესიასთან. ესეც დამახასიათებელი იყო იმით, რომ ჩვენი ეკლესია, როგორც თქვენ იცით, არის ერთერთი უძველესი ეკლესია; როცა ჩვენ მივიღეთ ქრისტიანობა იმ დროს სუფევდა სული, მხოლოდ არ იყო ასეთი ვარგენტული ფორმა, მაგრამ სული ძლიერი იყო ბიზანტიის იმპერიაში;

აი ამ დროს მივიღეთ ჩვენ ქრისტიანობა. აი ეს ძლიერი სული შერჩა ქართველ ერსა; ეს ძლიერი სული დღესაც გვასულდგმულებს და მომავალშიც მოგვეცემს ჩვენ იმდენ ენერჯიას, რომ ჩვენ დავიცვათ ჩვენი მამული, ჩვენი ენა, ჩვენი რწმენა. ქართველი ერი და ეკლესია განუყოფელია. ისე განუყოფელი იყო ქართველი ერი და ეკლესია, როგორც განუყოფელია იესო ქრისტეს ღვთაებრივი და კაცობრივი ბუნება. და აი ამან შეგვიწარჩუნა ჩვენ ჩვენი ქართული ენა, და მე ვმადლობ ღმერთს, რომ აქაც, მიუხედავათ იმისა, რომ თქვენ იმყოფებით კათოლიკურ სამყაროში, მიუხედავათ იმისა, რომ თქვენ იმყოფებით სულ უცხო მიწაზე, თქვენ მაინც შეინარჩუნეთ ეს ქართული, ქართული სული შეინარჩუნეთ რადგან თქვენი მფარველი, და საერთოდ ყოველი ქართველის მფარველი არის უფალი და არის ყოვლად წმინდა ღვთისმშობელი, რომელიც არის დიასახლისი საქართველოსი. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტახტი საქართველოშია. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ბრძანდება ჩვენი მფარველი და სადაც არ უნდა იყოს ქართველი ყველგან იქნება მისი მფარველი ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი.

მე პირველად ვარ საფრანგეთში, და მე არ ვიცი მომეცემა თუ არა საშუალება კიდევ ჩამოვიდე საფრანგეთში; მე მომეცემა თუ არა საშუალება იმისი, რომ კიდევ ერთხელ



გზილით. მე ზოგიერთი თქვენთაგანი მიხილავს, და დიდი სიხარული მომგვარა მე იმისა, რომ იქ, ჩვენს სიონში, ჩვენ სიონელებთან ერთად გხედავდით თქვენ როგორც მლიცელებს. მაგრამ ეველას არ ჰქონია ასეთი შესაძლებლობა, რომ ჩამოსულიყო საქართველოში. შეიძლება ეს უკანასკნელიც იყოს - ჩემი აქ ჩამოსვლა, შეიძლება მე არასოდეს აღარ ვიხილო ეს წმინდა ადგილი და თქვენ, და მე ერთ რამეს მოგახსენებთ, რომ არ დაკარგოთ სამშობლო. სამშობლო ეს არის ისეთივე ტბილი როგორც უფალი; სამშობლო და უფალი ორივე ტბილია. ჩვენ უნდა გვახსოვდეს ერთი რამე: სამშობლო იმდენად ტბილია, რომ ის უნდა მაღლა იდგეს ყოველ პოლიტიკურ გრძნობაზე, ყოველ სხვა გრძნობაზე. პოლიტიკა მრავალია, პარტია მრავალია, მაგრამ სამშობლო მარტო ერთია. უცვლელია სამშობლო და ამიტომ გქონდეთ კავშირი, ცოცხალი კავშირი სამშობლოსთან. ნუ დაკარგავთ აი ამ კავშირს სამშობლოსთან. აი ამ შემთხვევაში თქვენ გეჩვენებთ საშუალება იმისი, რომ თქვენ და თქვენ შეილებსა და შეილი-შვილებს გქონდეთ ეს ქართული სული, რომ ჩვენი ქართველები არ გაითქვიფნენ უცხო ერში, არ მოისხოს ეს ჩვენი პატარა კერა. აი ეს არის ჩემი ანდრძი, ჩემი ლოცვა-კურთხევა და ჩემი სურვილები.

ახლა მე მინდა მოკლედ მოგახსენოთ ჩვენი საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა, ჩვენი ერის დღევანდელი მდგომარეობა. როგორც ვითხარით, ჩვენი ეკლესია ერთერთი უძველესი ეკლესიაა. ეკლესია სადაც იქადაგებს წმიდა მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ ქანანელმა. საქართველო არის ის მამული სადაც ბრძანდება კვართი უფლისა ჩვენიას იესო ქრისტისი, რომელზედაც აშენდა დიდებული სვეტიცხოველი. ეს არის ის ეკლესია და ის ერი, რომელიც წილხედრია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა. ეს არის ის ერი, სადაც დასაფლავებულია, დაკრძალულია ერთერთი მოციქული - სვიმონ კანანელი. თქვენ იცით, რომ სვიმონ კანანელი, რომელიც იყო ერთერთი თორმეტმოციქულთაგანი, არის დაკრძალული სოხუმის მახლობლად, ახალ ათონზე. ეს არის ის ეკლესია, რომელსაც მეხუთე საუკუნეში ემბაძა ავტოკეფალია; და აი იმ დროდან, პირველი საუკუნეებიდან, შეიქმნა ეს ჩვენი როგონული ეკლესია, ჩვენი ტრადიციული ეკლესია, რომელსაც გააჩნია თავისი ტრადიციები, თავისი ზნე-ჩვეულებები, თავისი წესები; და აი ასე მოდის იმ მეხუთე საუკუნიდან. მოდიოდა და აი მოდის დღემდე. დღესაც ჩვენი ეკლესია არის დამოუკიდებელი, ავტოკეფალური. ჩვენ არავის არ ვემორჩილებით, არც ერთ ეკლესიას, არც კონსტანტინეპოლს, არც ანტიოქიას, არც რუსეთს, არავის. ჩვენ ვართ დამოუკიდებელი, ავტოკეფალური ეკლესია და ჩვენი ერი, ჩვენი ეკლესია ბედნიერია ამით და ამაყობს ამით, რომ ჩვენ ვართ დამოუკიდებელი. როცა არის სხვადასხვა სხლომა უცხოეთში, სხვადასხვა ფორუმი, კონფერენცია, კონგრესი, საბჭოთა კავშირიდან მოდის წარმომადგენელი საქართველოს ეკლესიისა თანასწორად სხვა ეკლესიებთან, თანასწორად რუსეთის ეკლესიასთან, თანასწორად სომხეთის ეკლესიასთან. ამიტომ ჩვენი ეკლესია სრულუფლებიანია და ჩვენ ვგრძნობთ თავს თავისუფლად.

ჩვენ გავგაჩნია 15 ეპარქია. საქართველოში არის 15 ეპარქია, რომლებსაც ხელმძღვანელობენ მიტროპოლიტები, მთავარეპისკოპოსები და ეპისკოპოსები. ჩვენ დღეს გვყავს ძლიერი წმინდა სინოდი. წმინდა სინოდი დღეს შესდგება კათოლიკოს-პატრიარქისაგან, რომელიც მისი მუდმივი თავმჯდომარეა, ტოლი ღვდელთმთავრებისაგან: მიტროპოლიტები ზინობი, გიორგი, გრიგორი და შოი, სამი მთავარეპისკოპოსისა და ხუთი ეპისკოპოსისაგან. სულ თორმეტი და მე ვფიქრობ, რომ დადგება დრო, როცა სხვა ეპარქიებიც, რომლებიც ჯერჯერობით არ არის დაკავებული მღვდელთმთავრების მიერ, მალე მოგვეცემა იმის საშუალება, რომ ახალი ეპისკოპოსები ვაკურთხოთ, რათა დაიკავონ ჩვენი უძველესი ეპარქიები.

საქ. საპატრიარქოში არის რამდენიმე განყოფილება. ერთერთი განყოფილება არის საგარეო განყოფილება, რომელიც განაგებს უცხოეთის საქმეებს, დამოკიდებულებას სხვადასხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან, სხვადასხვა არამართლმადიდებელ ეკლესიებთან, ვატიკანთან, სხვადასხვა პროტესტანტულ ეკლესიებთან. ძალიან ინტენსიური მისვლა-მოსვლა არის; ჩვეთან ჩამოდის მრავალი დელეგაცია. ასევე ჩვენგან მიდიან დელეგატები უცხოეთში, სხვადასხვა ეკლესიებში. ასე, რომ ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი მუშაობა საგარეო საქმეებში და ხელმძღვანელობს ამ საგარეო განყოფილებას მისი მაღალყოვალდუსამღვდელოება ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი, რომელიც აქ ბრძანდება. ჩვენთან არის სამეურნეო-ფინანსიური გან-



ყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობს მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი, მისი მალაყოვლადუსამღვდელოესობა წილენელი მთავარეპისკოპოსი თადეოზი. არის საგანგებო განყოფილება, რომელიც გამოსცემს ჟურნალს, კალენდარს და სხვადასხვა წიგნებს. ჩვენ გვაქვს, როგორც მოგახსენებ, სასულიერო სემინარია; დღეს ეს სემინარია არ არის მრავალრიცხოვანი, მაგრამ ის ახლა ძლიერდება. იქ სწავლობს 40-45 სემინარისტი და მათგან ჩვენ ვამზადებთ მომავალ სამღვდელოებს და მომავალ მღვდელმთავარებს. როცა ესა თუ ის მოსწავლე თავს გამოიჩენს, სემინარიის დამთავრების შემდეგ ჩვენ მათ ვაგზავნით აკადემიებში. ჩვენ ვებუღლობთ ჩვენს სემინარიაში საშუალო და უმაღლესი ცოდნით. აი ჩვენი მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი არის ჩვენი სემინარიის კურსდამთავრებული; მან ჯერ დაამთავრა უმაღლესი და შემდეგ შემოვიდა ჩვენს სემინარიაში და ის დაამთავრა. სემინარიის კურსდამთავრებულები შეძლება გაგზავნილი იყვნენ მოსკოვის ან ლენინგრადის სასულიერო აკადემიებში. არიან ჩვენი სამღვდელოებიდან, რომლებიც დაუსწრებლად სწავლობენ. ჩვენ მოგვეცა საშუალება საბერძნეთის ეკლესიისაგან, რომ გავაგზავნოთ ათენში ორი სტუდენტი; დღეს უკვე ერთი სწავლობს იქ. ეს არის მიქაბერიძე ავთანდილი, რომელმაც დაამთავრა ჩვენი უნივერსიტეტი, მერმეთ ლექციებს კითხულობდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში და შემდეგ ჩვენ გავაგზავნეთ ათენის უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო ფაკულტეტზე, ახლა ჩვენ ვამზადებთ კიდევ ერთ სტუდენტს ათენში გასაგზავნად. ეს ალბათ მოხდება ამ ერთ თვეში. ეს არის ბიბლიაშეილი ტარიელი, რომლის მამა არის დიდუბის ღვთისმშობლის ტაძრის მღვდელ-მსახური.

საშუალება მოგვეცა და ჩვენ ვიზიტად ვიყავით მსოფლიო პატრიარქთან. ეს იყო ძმური ვიზიტი. ეს იყო ნამდვილად დიდი ისტორიული ვიზიტი, რადგან თითქმის რვაასი წელიწადია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი არ ყოფილა კონსტანტინეპოლში. და აი ღვთის ლოცვა-კურთხევით მე მხვდა ეს წილად. მე ვიყავი ოფიციალური ვიზიტი კონსტანტინეპოლში, შევხვედი მის ყოვლადწმინდესობას, მსოფლიო პატრიარქს დიმიტრიოს პირველს, გვექონდა ძმური საუბარი იმ პრობლემებზე, რომლებიც დღეს დგანან მართლმადიდებელი ეკლესიების წინაშე. თქვენ იცით, რომ მიდის დიდი მოსამზადებელი მუშაობა მომავალი მართლმადიდებელი ეკლესიების კრებისათვის და ჩვენც როგორც ერთერთი ავტოკეფალური ეკლესია, ვღებულობთ ამაში მონაწილეობას. ამის კარდა, ჩვენ შევასრულეთ წირვა კონსტანტინეპოლში, გვექონდა ძალიან კარგი შეხვედრები კონსტანტინეპოლში სხვადასხვა საერო პირებთან, სტამბოლში ჯერბრანტორთან, ქალაქის მერთან. თქვენ კარგად იცით, რომ თურქეთში მრავალი ქართველია, და აი ეს დარდიც მაქვს მე. ისევე, როგორც თქვენზე ვფიქრობ მე მუდამ, როდესაც ვიმყოფები საქართველოში, ასევე მე ვფიქრობ იმ ქართველებზე, რომელთაც დაჰკარგეს მამული და დაჰკარგეს რწმუნება. ჩვენი ქვეყნის ავტელობა და დაკარგინა ეს ყველაფერი და ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია ეს ხალხი გადავყაროთ, გადავადგოთ; მიიძე ჩვენი სისხლია და ჩვენი ხორცი, მიუხედავად იმისა, რომ მუსულმანები არიან. მე მქონდა შეხვედრა სტამბოლში ქართველ მუსულმანებთან და როგორღაც არ არის კარგი დამოკიდებულება ქართველ ქრისტიანებსა და ქართველ მაჰმადიანებს შორის. როდესაც მათ ნახეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ისინი ჩემთან ერთად გაერთიანდნენ, ჩემთან მოვიდნენ, ერთად ვისაძილეო, ერთად ვისაუბრეთ და გავიზიარეთ ის ჩვენი ბედი, მოვიგონეთ ის ჩვენი წარსული, აწმყვი, რომელიც ჩვენ გვახასიათებს.

ჩვენ ძალიან კარგი, ძმური დამოკიდებულება გვაქვს ვატიკანთან. როდესაც კურთხევა იყო რომის პაპისა-იოანე-პავლე მეორისა-ჩვენი წარმომადგენელი ბრძანდებოდა იქ, ჩვენი ეპისკოპოსი ნიკოლოზი და ჩვენგან ვადასაც მილოცვა, საჩუქარი, კეთილი სურვილები, ის სურვილები, რომ დადგეს ის დრო, როდესაც გაერთიანდება ეს დაყოფილი ქრისტიანობა. ჩვენ გვექონდა ბედნიერება მიგველო რომის წარმომადგენელი კარდინალი იოანე საქართველოში. გვექონდა მასთან მოლაპარაკება, საუბარი თუ როგორ უნდა წარიმართოს ჩვენი მომავალი ურთიერთობა, ურთიერთობა საქართველოსა და ვატიკანს შორის. აი ასეთი ცხოვრებაა ჩვენთან.

თვითონ მე, როგორც იცით ძირითადად ვარ თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში. როცა არის დღესასწაული რომელიმე ეკლესიაში, მე მივდივარ იქ და ვასრულებ წირვა-ლოცვას. აი სულ ახლა, როგორც იცით იყო წმინდა ნინოს დღესასწაული. ჩვენთან ისევ ძველი სტილით ვდღესასწაულობთ, თქვენ კი ახალზე გადასულხართ; ჩვენ ძველებური ხალხი ვართ



და თქვენ ახალი ხალხი ხართ. ჰოდა, ჩვენ ძველი სტილით ვიდღესასწაულეთ წმინდა ღმერთისა და მე ჩავედი ბოდბეში, სადაც არის წმინდა ნინოს საფლავი. ბევრი ხალხი მოვიდა და აი იქ შევასრულე წირვა-ლოცვა. დიდებული ადგილია წმინდა ნინოს საფლავი-მონასტერი, ბოდბის მონასტერი. იქ დღეს არის ძალიან ენერგიული ახალგაზრდა ეპისკოპოსი ათანასე ჩახლაშვილი, რომელიც ენერგიულად შეუდგა რესტავრაციას, დამშვენებას ამ მონასტრისას და ამ ბოდბის ეპარქია და ჩვენ ბედნიერი ვართ ამით.

აი ასეთი ცხოვრება არის ჩვენთან და მე ვფიქრობ თქვენც გევენებათ საშუალება ჩამობრძანდეთ, გვინახულეთ და ისევ დაბრუნდეთ. თუ არ გვენებათ იქ ძალით არავინ დაგტოვებთ.

ეს ნამდვილად ისეთი სასიხარულო ამბავია, რომ მე აქ წირვა-ლოცვა შევასრულე და მე მინდა დავლოცო ეს წმინდა ტაძარი, ეს ადგილი. მე მინდა დავლოცო მამა ილია, რომელიც ამდენს შრომობს თქვენი სულიერი ცხოვრებისათვის. მე მინდა დავლოცო ყოველი ქართველი ადამიანი რომელიც აქ ცხოვრობს. მე ასე წარმომიადგენია, რომ აი ეს პატარა ადგილი ეს არის პატარა საქართველო. თქვენ ვისაც არა გაქვთ საშუალება, რომ დიდ საქართველოში წამობრძანდეთ, აქ მაინც უნდა, კვირაში ერთხელ მაინც, შეხვდეთ აუცილებლად ერთმანეთს. უნდა გაუზიაროთ თქვენი დარდი უფალსა, უნდა გაუზიაროთ ერთმანეთსა, მოისიყვარულოთ, და აი ასე უნდა იცხოვროთ.

მე დარწმუნებული ვარ, რომ დადგება ისეთი ბედნიერი დღე, როცა ჩვენ ყველა ერთად ვიქნებით, მთელი ქართველები ერთად ვიქნებით.

ერთი რამ გამომჩნავს კიდევ, როდესაც მე მოგახსენებდით საქართველოს ეკლესიაზე. საქართველოს ეკლესიას ახასიათებდა და ახასიათებს მუდამ მეცნიერული მუშაობა. სადაც შენდებოდა მონასტერი, სადაც უნდებოდა რომელიმე ეკლესია, იქ აუცილებლად მეცნიერული მუშაობაც იყო; და აი დღეს გაძლიერებული, კარგი მეცნიერული მუშაობა მიდის საქართველოს ეკლესიაში. ჩვენ ძალიან კარგი დამოკიდებულება გვაქვს ჩვენს მეცნიერებთან, მეცნიერებათა აკადემიის და უნივერსიტეტის პროფესორებთან. აი, ეს სახარება, რომელსაც მამა ილია კითხულობს, რომელიც დღეს იყო წაკითხული აქ, თქვენ იცით, რომ ეს არის ძირითადად ტექსტი წმინდა გიორგი მთაწმინდელისა, კანონიზებული ტექსტი; ეს არის ყველაზე უფრო კარგი თარგმანი, რომელიც გაკეთებულია საქართველოში, საქართველოს ეკლესიისათვის; და ეს დარჩება ასე, ეს კანონიზებული ტექსტი. მაგრამ თქვენ იცით, რომ ბევრი რამ არის უკვე ისეთი, რომელსაც დღეს ქართველი ადამიანი უკვე ვეღარ გებულობს ამ ძველ ქართულს. ამიტომ ჩვენ დავავალეთ ჩვენს მეცნიერებს და გაკეთდა ახალი თარგმანი, ახალ თანამედროვე ქართულ ენაზე ჩვენ მუშაობა ახალი აღთქმა, ჩვენ გვექნება მთელი ბიბლია. ახალი აღთქმა უკვე დამთავრებულია, უკვე გაკეთებულია, ახლა რედაქტირება მიდის და, ალბათ, ღვთის ლოცვა-კურთხევით ბეჭდვაც დაიწყება. ამის გარდა, ჩვენი ისტორიკოსები მუშაობენ საქ. ეკლესიის ისტორიაზე; სპეციალურად გამოყოფილია ადამიანი, რომელიც მუშაობს საქ. ეკლესიის მატიაზე. გამოყოფილია ხალხი, რომლებიც მუშაობენ არქივზე, საქ. ეკლესიის არქივზე. დღეს განსაკუთრებული დიდი მუშაობა მიდის უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატეს არქივზე. შექმნილია სპეციალური კომისია მისი ყოველმხალხსამდგელოცობის ქუთათელ-გენათელ მიმბროლოგიკ შიოს თავმჯდომარეობით; თორმეტი კაცი შედის იმ სამეცნიერო კომისიაში და დიდი მუშაობა მიდის კალისტრატეს არქივზე; შეიძლება ზოგიერთი თქვენგანი იცნობდა კალისტრატე; კალისტრატე ოცი წლის განმავლობაში მართავდა საქ. ეკლესიას. ის დიდი პიროვნება იყო, დიდი პიროვნება არის. ქართველ ერს მიაჩნდა ის, ჯერ კიდევ სიცოცხლის დროს როგორც წმინდანი. უწმინდესი და უნეტარესი-ეს არის საერთოდ ტიტული საქ. კათოლიკოს-პატრიარქის, მაგრამ თვითონ კალისტრატე მიაჩნდათ როგორც წმინდანი, როგორც წმინდა ადამიანი და დღეს უკვე დგას საკითხი, შეიძლება დადგეს ის ბედნიერი დღე, როდესაც საქ. ავტორიტეტული ეკლესია ოფიციალურად კანონიზირებას გაუკეთებს კალისტრატეს როგორც წმინდანს; და აი, მზადდება ამისათვის დიდი მასალები.

ჩვენი ხალხი მუშაობს აგრეთვე ქართველ წმინდანების ცხოვრებაზე, ქართულ საგლობლებზე. დიდი მუშაობა მიდის ქართულ საღვთისმეტყველო საკითხებში. აი, ასეთი ცხოვრება არის ჩვენთან.



მე მიინდა თქვენ დაგჩეთ ლოცვა-კურთხევა ჩვენგან და მე ჩამოვიტანე აი ეს ხატები ელიც აქ ბრძანდება. ესაა მაცხოვარი იესო ქრისტე ეკლის გვირგვინით. გაკეთებულია ეს ხატები გამოჩენილი ქართველი მხატვრის და მოქანდაკის კობა გურულის მიერ. ამ ხატზე მაცხოვარი მოცემულია ეკლის გვირგვინში და გვერდით სამი ქვა თითქოს ცრემლის მსგავსია. ეს ქვები მალაქიტის ქვებია. მე ახლა არ ვიცი მხატვრის სიდიდემო, თუ რას ფიქრობდა და რა აზრი ჩააქსოვა მან ამ ხატში, მაგრამ ეს მე მაგონებს საქართველოს ბედს. აი, ასეთივე ეკლიანი იყო ჩვენი საქართველოს წარსული, ჩვენი ბედი. მაგრამ ერთი რამ უნდა მოგახსენოთ, რომ იესო ქრისტეს გზა ეკლის გვირგვინით და გოლგოთით არ დამთავრდა; იესო ქრისტეს გზა დამთავრდა აღდგომით, სასიხარულო ამბით—აღდგომით და ამალღებით, და მე ვფიქრობ, რომ ასეთივე ნათელი, ასეთივე ბრწყინვალე იქნება საქართველოს ბედი. საქართველოს ელოდება აღდგომა, საქართველოს ელოდება ფერისცვალება. აი, მანდ არის წარწერა, რომელიც კობა გურულმა შეასრულა: „საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ჩვენ თანამემამულეებს ღვთის ლოცვა-კურთხევა“ და ჩემი ხელის მოწერა. ეს გქონდეთ თქვენ აქ სადმე სასიხარულო და ეს მოსაგონებელი იქნება ჩვენი ერთიანი ლოცვისა.

მე მიინდა ასევე აღვნიშნო ის დიდი შრომა, რომელსაც ეწევა ყოველი ადამიანი, რომლებიც აქ ბრძანდებიან და, რომელსაც ხედავს ქართველი ერი, მაგრამ ზოგიერთი განსაკუთრებით გამოირჩევა. მე პირადათ მინდა მიემართო მამა ილიას: ის საქმე, რომელსაც აკეთებ მამა ილია ამ შორეულ ქვეყანას, ეს ნამდვილად ღვთისგანაც და ჩვენი ერისგანაც დიდად დაფასებული იქნება. ამ ქვეყანას, სადაც ასეთი მრავალი განსაცდელია, მრავალი გასაკვირია, თქვენ, მამა ილია, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ არ იცოდით კარგად ქართული ლაპარაკი, ქართული წერა-კითხვა, თქვენ ეს ყველაფერი შეისწავლეთ და ჩაუღრმეთ ამ ჩვენს სამწყსოს და დააბრეთ ეს წმინდა ნინოს ტაძარი, წმინდა ნინოს ეკლესია. ქართველი ერი ამას აფასებს და საქართველოს ეკლესია ამას დიდად აფასებს. მე აღრეც მოგახსენებ თქვენ, რომ ქართველი ერი გიცნობთ თქვენ და არა მარტო გიცნობთ თქვენ, არამედ უყვარხართ; და აი, როცა ჩვენ ვემზადებოდით აქ წამოსასვლელად, ჩვენ ვფიქრობდით, რომ რით შეიძლება ჩვენ აღვნიშნოთ მამა ილიას დამსახურება. ჩვენ საქ. ეკლესიაში ვგაქვს ხოი ორდენი: „წმინდა ნინოსი“ და „წმინდა გიორგის“ ორდენები. ამ ორდენებს აქვთ სამი ხარისხი: პირველი, მეორე და მესამე. პირველი ხარისხის არის უმალესი. და აი, როცა ჩვენ მოვიდოდით აქ მე მქონდა შეხვედრა საქ. ეკლესიის წმინდა სინოდის წევრებთან და აი ამ საუბრის შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მამა ილია დაჯილდოვდეს წმინდა ნინოს პირველი ხარისხის ორდენით. ამას ახლავს თან სიგელი სადაც წერია: „საქართველოს საზღვრებს გარედ ჩვენი თანამემამულეების სულიერი წინამძღოლი და წმინდა ნინოს ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ილია მელია დაჯილდოვდეს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს პირველი ხარისხის ორდენით.“(შეძახილები: დაგლოცოთ წმინდა ნინო!) —მამა ილია დიდი სულიერი მოღვაწეა, მაგრამ მამა ილია ვერაფერს ვერ გააკეთებდა თქვენ, რომ არ ყოფილიყავით, თქვენი შემწეობა რომ არ იყოს, თქვენი დახმარება რომ არ იყოს, და მე მგონია, რომ გარდა იმისა, რაც კეთდება აქ, ამ წმინდა ეკლესიაში, ბევრი ეროვნული საკითხი ამის გარდაც წყდება. აქ შექმნილია სათვისტომო, სადაც განიხილება ბევრი ეროვნული საკითხი, ამიტომ ჩვენ მივღეთ კიდევ ერთი გადაწყვეტილება: საფრანგეთში მცხოვრებ ქართველების სათვისტომოს ხელმძღვანელობისა და მათი სამშობლოსთან კავშირის განმტკიცებისათვის ბატონი ვიქტორ ხომერკი დაჯილდოვდეს წმინდა ნინოს პირველი ხარისხის ორდენით.(შეძახილები: აქსიოს, აქსიოს, აქსიოს!) —ღმერთმა დაგლოცოთ ბატონი ვიქტორ! წმინდა ნინომ დაგლოცოთ!

მე ვიცი, რომ დიდი შრომა იყო გაწეული ისე, ამ ტაძრის მოწყობაში, გამშვენიერებაში, მიუხედავად იმისა, რომ არ გქონდათ თქვენ ასეთი პირობები, როგორც, ვთქვათ, სხვაგან არის. მაგრამ თქვენ მაინც შეძელით ამისი მოწყობა. ეს, რომ არ ყოფილიყო დღეს ჩვენ ერთად ვერ ვწარავდით და ერთად ვერ ვილოცებდით; და ამიტომ მე მიინდა დავაჯილდოვო ბატონი ალექსი კობახიძე: „პარიზის წმინდა ნინოს ტაძრის სამრევლო ცხოვრებაში თავდადებული მოღვაწეობისათვის ბატონი ალექსი კობახიძე დაჯილდოვდეს საქ. საპატრიარქოს წმინდა გიორგის პირველი ხარისხის ორდენით.“ წმინდა გიორგი ფაგარდეთ!

ასევე თავდადებულად შრომობს,—თქვენ ფიქრობთ რომ მე, რომ საქართველოში

ვარ არაფერი არ ვიცი, მე ყველაფერი ვიცი ვინ რას აკეთებს და საქართველო ლოცვითაა და
 თქვენზე, საქართველო ფიქრობს თქვენზე, — და ჩემთვის ცნობილია, რომ ასევე თავდადებულად
 შრომობს ჩვენი ქარ. ეკლესიისთვის ბატონი ტარიელ ზურაბიშვილი: „პარიზის წმინდა ნინოს
 ტაძრის სამარელო ცხოვრებაში თავდადებული მოღვაწეობისთვის ბატონი ტარიელ ზურაბიშ-
 ვილი დაჯილდოვდეს საქ. საპატრიარქოს წმინდა გიორგის პირველი ხარისხის ორდენით.“
 აქსიოს! აქსიოს! აქსიოს!

(განმარტება: თვითოეული ჯილდოს წარმოთქმის შემდეგ მისი უწმინდესობა და უნე-
 ტარესობა ილია მეორე და მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი ერთხმად შესძახებდნენ: „აქსიოს!“ თ.ტ.)

გ ა ს წ ო რ ე ბ ა : თავისუფლების ტრიბუნამ მის 28-ე ნომერში—მარტი 1980— გამო-
 აქვეყნა სრულიად საქ. კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობის და უნეტარესობის ილია
 მეორის პარიზში სტუმრობის შესახებ კორესპონდენცია. მასში სრულიად შემთხვევით და ჩვე-
 ნდა უნებურად გამოჩნა მნიშვნელოვანი ამბავი ბატონ ლევან ფაღავას გამოსვლისა. კათოლიკო-
 სისა და მოძღვარ ილია მედიას სიტყვების შემდეგ, ბატონმა ლევან ფაღავამ, მისთვის ჩვეული
 მგარძნობიერი სიტყვით მიმართა კათალიკოსს, უსურვა მას კეთილი მობრძანება და აღნიშნა
 ის სიხარული და იმედი, რომელსაც მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ეს სტუმრობა
 აღძრავს საფრანგეთის ქართველების, და საერთოდ ყველა გადმოხვეწილ ქართველის გულში.
 სხვა ამბავთა შორის, მომხსენებულმა განსაკუთრებით მოიხსენია აწ განსვენებულ ლევან ზუ-
 რაბიშვილის როლი პარიზის წმინდა ნინოს სამარელოს ორგანიზაციაში, შემდეგ მის ყოველ-
 დღურ საქმიანობაში და ბოლოს ამ სამოციქულოს შექმნა-მოწყობაში. თ.ტ.

ს ს რ კ-ის მ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ე ლ ი ძ ა ლ ე ბ ე ბ ი :
 პოლიტიკური და სამხედრო ხელისუფლება .

ჯ ა რ ი : ი ნ ტ ე გ რ ა ც ი ი ს ი ა რ ა ლ ი ?

თუ ინტერაციის დანიშნულება, რომელიც ჯარს აკისრია ნათლად გამომდინარეობს მის
 საორგანიზაციო წესდებიდან და ხელისუფალთა განცხადებებიდან, მაინც ვერ ავცდებით ორ
 ძირითად კითხვას, რომლებიც უნებინ გამოთქმულ გადაწყვეტილებებსა და რეალობას.
 ჯარი მართლაც არის ერთი ოჯახი, შეკავშირებული და შეშვიდროებული, მრავალენიურ
 საზოგადოების გამომხატველი, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს სხვადასხვა შემადგენლობის
 საზოგადოების ინტეგრაციას, ერთიანობას? ჯარს მართლაც აქვს გავლენა იმოქმედოს იმათ
 შეგდებაზე, რომლებზეც მისი რიგები გაიარეს? ჯარი გამოხატავს ერს?(იგულისხმება საბჭოთა
 ერი). დიახ, პასუხობენ საბჭოთა სპეციალისტები, რადგანაც არ არსებობს ჯარების ისეთი ნა-
 წილები, რომლებშიც წარმოდგენილი არ იყვნენ ყველა ეროვნების წარმომადგენლები.
 ბაზაში საყოველთაო სამსახური მართლაც გეაგულისხმებს, რომ მთლიანად აღებული საბჭოთა
 არმია მართლაც გამომხატველია საბჭოთა საზოგადოების. აქედან გამომდინარე შეგვიძლია და-
 ვასკვნათ, რომ ჯარის ყველა შენაერთში კარები ღია აქვთ ყველა ეროვნული ჯგუფის ახალწვე-
 ულებს? საბჭოთა სამხედრო სახელმძღვანელოები დადებითად პასუხობენ ამ კითხვას; ლოლიკა
 და დაევირება კი გვარწმუნებს სხვა მდგომარეობაში, ახალი რთული იარაღები მოითხოვენ
 გარკვეულ განათლებას და ჯარის ენის, რუსული ენის, კარგად ცოდნას. ამის გამო, მთავალიად
 ახალწვეულს ცენტრალური აზიიდან უფრო ხშირად ვხვდებით ისეთ ნაწილებში, რომლებიც
 განკუთვნილი არიან მშენებლობისათვის და ნაკლებად მოდერნულ საბრძოლო ნაწილებში.
 რუსულის ცოდნა და განათლების დონე, რომელიც დაკავშირებულია საქალაქო ცხოვრების გან-
 ვითარებაზე, უმკველად ხელს უწყობენ საბჭ. ჯარში გაწვეულთა არაერთგვარ განაწილებას
 ეთნიური ჯგუფების მიხედვით.

ეროვნული პრობლემა განსაკუთრებით ისმება ჯარის კადრების საკითხში. სტატის-
 ტიკური ცნობები საშუალო და უმაღლეს მეთაურთა ეთნიური შემადგენლობის შესახებ გვაკ-
 ლია, მაგრამ აქა-იქ მიმოფანტული ცნობები სხვადასხვა დროში და სხვადასხვა ადგილში მაინც



გვაძლევს საბჭოთა ჯარის სახეს. სამხედრო კარიერა ეყრდნობა სხვადასხვა მონაცემებსა და უპირველესად პირად არჩევანს, რომელიც ექვემდებარება შეგნებას პიროვნებისა თუ რა მორალური და მატერიალური სარგებლობა შეიძლება მას მოუტანოს სამხედრო კარიერამ და შემდეგ არის თუ არა ესა თუ ის პირი ამ სამხედრო კარიერისათვის შესაფერისი. შესაფერისობის ვარაუდში შედის განათლების დონე და რუსული ენის ფლობა. ზოგიერთ ეროვნულ ჯგუფში ეს პირობები უფრო თავისუფლად მისაღწევია, მაგალითად სლავიანურ წარმოშობის ერებში და ზოგიერთ არასლავურ ერებში, რომლებიც რუსეთის რესპუბლიკაში არიან მოქცეული: თათრები, ჩუვაშები, მორდოველები და სხვა..

ჯარის კადრების ეთნიური შემადგენლობის შესახებ არსებობს მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დროინდელი. მაშინ არტილერიის დივიზია შედგებოდა 90 პროცენტ სლავისაგან, აქედან 51,8 პროცენტი იყო რუსი, 33,93 პროცენტი უკრაინელი და 2,04 პროცენტი ბელორუსი. ოფიცერთა შემადგენლობაში ამ დროს თავს იჩენს სლავების დიდი უმრავლესობა, სადაც სკარბობენ რუსები. იგივე ომის დროინდელი ცნობებით საპაერო და არტილერიის ნაწილებში კადრების ცხრილს შემდეგი სახე აქვს:

	საშუალო და დაბალი ოფიცერი ავიაციაში 1943 წელს	მაღალი ჩინის ოფიცერი არტილერიაში ომის ბოლოს
უკრაინელები -----	28,000	6,000
ბელორუსები -----	5,305	1,246
სომხები -----	1,079	240
თათრები -----	1,041	173
ქართველები -----	800	129
ჩუვაშები -----	405	...
მორდოველები -----	383	99
ოსები -----	251

ამ ცხრილიდან ორი მთავარი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: პირველი სლავიზაცია. რუსების შემდეგ, რომლებიც დიდ უმრავლესობას შეადგენენ, უკრაინელები და ბელორუსები. ე.ი. სლავები, წარმოადგენენ საბჭოთა არმიის კადრების დიდ უმრავლესობას. ამავე დროს, ამ ცხრილში შეტანილი არ არიან არც ერთი დიდი მუსულმანური ერი. მაშასადამე ამ ერებიდან გამოსულ ოფიცერთა რიცხვი ნაკლები იყო ცხრილში მოხსენებულ ყველაზე დაბალ რიცხვზე. ამჟამად არავითარი მონაცემი არ ქვეყნდება ამ ხასიათის, მაგრამ საბჭოთა არმიის შესახებ წარმოებული ანკეტები ადასტურებენ იმ მონაცემებს, რომლებიც არსებობდნენ ომის დროს. საბჭ. არმიის ორგანომ „წითელი დროშა“-მ გამოაქვეყნა ერთი ანკეტის შედეგები, რომლის მიხედვით 1000 დაბალ და საშუალო რანგის ოფიცერში 82,5 პროცენტი გამოსულია მუშათა ოჯახებიდან და მხოლოდ 17,5 პროცენტი გლეხებიდან. აქ უმეკველად ნაგული-სხმებია ყველა ერების წარმომადგენლები, მაგრამ მუშური წარმოშობა მიგვიანიშნებს, რომ სკარბობენ ინდუსტრიულად უფრო განვითარებული ერების წარმომადგენლები.

საბჭოთა ჯარის უმაღლესი მეთაურობა ყოველთვის წარმოდგენილია, როგორც ერთიან საბჭოთა ერის განსახიერება და აქ ეროვნულ წარმოშობას არასოდეს არ ახსენებენ. დასავლეთელი ერთი ავტორი, რომელმაც გააჩნია გვარების მიხედვით მაღალი ჩინის ოფიცერების სხვადასხვა სიები მივიდა შემდეგ დასკვნამდე: გენერლებს შორის, რომლებმაც ეს ხარისხი მიიღეს 1940 - 1976 წლებს შორის 91 პროცენტი სლავებია (60 პროცენტი რუსი, 20 პროცენტი უკრაინელი, 4 პროცენტი ბელორუსი, 7 პროცენტი ძნელია მიავთვნო ამ ორ ჯგუფს, მაგრამ 2 პროცენტი შესაძლებელია იყოს პოლონური წარმოშობის.)

იმ მაღალი რანგის ოფიცერებიდან, რომლებიც საბჭ. არმიის უმაღლესი საბჭოს წევრები არიან 95 პროცენტი სლავებია (80 პროცენტი რუსი, 15 პროცენტი უკრაინელი). 42 მაღალ ოფიცერის სიაში, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა 1975-76 წლებში 40 სლავია, დარჩენილი ორიდან ერთი სომეხია, მეორე გერმანული წარმოშობის. საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრებიდან უმაღლესი რანგის ოფიცერები (გენერლები), რომლებიც



არჩეული იყვნენ 1952-76 წლებში, იყვნენ 101 (ბრეჟნევის ჩათვლით, რომელმაც სამხედრო ხარისხი ახლახან მიიღო). აქედან 97 გენერალი სლავური წარმოშობისაა, ხოლო მათგან 78 გენერალი რუსია (35 ცენტრალური კომიტეტის ნამდვილი წევრია, 36 წევრობის კადიდატი, 7 ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრი), 4 არასლავიანდ ეთნი, მარშალი ზაგრაძეანი სომეხია, ხოლო სამი დანარჩენის გვარები მიგვითითებს, რომ ისინი ან ებრაელები ან გერმანელები არიან წარმოშობით, ცენტრალური კომიტეტის ოთხი არარუსი სლავიდან, ბრეჟნევის გარდა, ოთხივე უკრაინელია, ხოლო ათ კანდიდატიდან რვა უკრაინელია და ორი პოლონელი. ამ უმაღლესი რანგის ოფიცრების ასეთი ეთნიური შემადგენლობა მუსულმან ერებისათვის შეიძლება აისხნას განათლების მაღალი დონის საჭიროებით, მაგრამ ეს ვერ ახსნის ბალტიის ქვეყნების და საქართველოს წარმომადგენლების უმყოფლობას, რომლებიც განათლების მხრით საბჭ. კავშირში პირამიდის მწვერვალზე იმყოფებიან. ასევე ებრაელთა მცირე რიცხვი შეუთავსებელია ებრაელების კულტურულ მდგომარეობასთან შედარებით, რომლებიც პირველ რიგში არიან სსრკ-ში, განათლების მიხედვით.

ამრიგად, ნათელია, რომ საბჭოთა ჯარი არ წარმოადგენს საზოგადოების ანარქულ, არამედ ის გამოიხატელება ხელისუფლების და მოწმობს ერების ასიმილაციის ხარისხს ანდა ხელისუფლებასთან მათ თანამშრომლობის ხარისხს.

საბჭ. არმია საფუძვლიან ადგის უთმობს უკრაინელებს, თუმცა მათი ადგილი მთლად პროპორციული არ არის მათ ეროვნულ რიცხვთან შედარებით. უკრაინელები როგორც ჯარში, ისე პოლიტიკურ ხელისუფლებაში ჩანან როგორც თანამშრომლები რუსებისა. ამ თანამშრომლობას აქვს უარყოფითი მხარე, ის მოითხოვს სამხედრო კადრების რუსიფიკაციას და მთ ღრმად გარუსებულ ეროვნულ ფენის არსებობას.

ჯარი გავლენას ახდენს იმათ შეგნებაზე, რომლებიც მის რიგებში გადიან? არის ის სოციალიზაციის ის ეფექტიური იარაღი, რომელიც ჯარისკაცებს უნერგავს, მშობლიურ ეროვნულ გარემოდან ხანგრძლივად მოწყვეტის განმავლობაში, რუსულ ენასა და საბჭოთა სოციალურ ღირებულებებს? ტ. რაკოვსკა-არმსტონი, რომელმაც დაწვრილებით შეისწავლა ეს საკითხი, ხაზს უსვამს, რომ მდგომარეობა იცვლება იმის და მიხედვით თუ რა დონეს ავირჩევთ. სამხედრო სავალდებულო სამსახურის შემდეგ ვინც აირჩევს ჯარში დარჩენას, ის ღებულობს არა მარტო საბჭოთა ღირებულებებს მთლიანად არამედ რუსიფიკაციასაც. სულ სხვაა სავალდებულო სამსახურში გაწვეულთა მდგომარეობა სამსახურის გათავებისას, როცა ისინი ჯარს სტოპებენ. რამდენად არიან ის ადამიანები დაღდასმული იმ განსაკუთრებული გარემოთი, რომელშიც მათ გაატარეს სავალდებულო სამხედრო სამსახურის დრო? ივან ძიუბასაივის ჯარი დენაციონალიზაციის შესანიშნავი იარაღი. ის შემდეგნაირად აღწერს ჯარის გავლენას:

„მილიონობით უკრაინელი ახალგაზრდა სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ ბრუნდება ეროვნულად გზაბნეული და ენობრივად გულგატეხილი. კიდევ მეტი, თავის მხრივ ისინი ზღვიან რუსიფიკაციის იარაღი სხვა ახალგაზრდების და მთელი მოსახლეობის მიმართ. რაც შეეხება იმ დიდ რიცხვს, რომელიც უკან აღარ ბრუნდება, მათზე ლაპარაკი ზედმეტია. ძველი არ არის წარმოდგინი თუ ეს რა უზომოდ საზარალოა ეროვნული განვითარებისათვის.“

(ძიუბა. „ინტერნაციონალი და რუსიფიკაცია.“ ლონდონი. 1968.)

ძიუბას შემჩნევა ვრცელდება სსრკ-ს სხვა ეროვნებებზეც? ამის საპასუხოდ საჭიროა ანკეტის ჩატარება. ერთერთ ანკეტაში, რომელიც ეხებოდა „ბილინგვის“ (ორი ენის) საკითხს სსრკ-ში, მეორე ენის საკითხი ჯარში დასმული იყო. ძალიან გასაკვირვებლად მეცნიერული ახლებმძღვანელო, რომელიც ამის შედეგად გამოვიდა აღნიშნავს სხვადასხვა საშუალებების თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს რუსული ენის გავრცელება, მაგრამ არაფერს ამბობს ჯარის როლზე ამ საკითხში. უტყუარი ცნობების უქონლობის გამო იძულებული ვართ მივმართოთ ჰიპოტეზებს და განსაკუთრებით 1970 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებს. მოსახლეობის ეს აღწერა გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი ხალხები რუსდებიან უფრო ადვილად და ზოგიერთი კი სრულბითაც არა. პირველ კატეგორიაში შეყვები ძალიან მოძრავი ხალხები არიან, ხოლო მეორენი თავიანთ მიწა-წყალს არ ცოლდებიან. უკრაინელები პირველ კატეგორიაში იმყოფებიან ბელორუსებთან ერთად. მუსულმანური ხალხები, კავკასიელები და ბალტიელები, რომლებიც სხვებსავე სამხედრო სამსახურში არიან ჩაბმული, არ უჩვენებენ გარუსების ნიშნებს.

დასკვნა, რომელიც ამ ურთიერთ საწინააღმდეგო მდგომარეობებიდან შეიძლება გა-



მოვიტანოთ არის ის, რომ ხალხები, რომლებიც ადვილად ნებდებიან რუსიფიკაციას და სხვადასხვა ნური და მცირე ერები— არიან უეჭველად ისეთები, რომელთაც სამხედრო სამდასტრო-სამხედრო უწყობს დაშორდნენ თავიანთ ეროვნულ სოლიდარობას. სამაგიეროდ, ისინი, ვინც გამოდიან ისეთ ხალხებიდან, რომლებშიც რუსიფიკაცია სუსტადაა ფეხმოდგმული, მათზე სამხედრო სამსახური უმნიშვნელო გავლენას ახდენს. შესაძლებელია პირიქით ჯარის რუსულ ატმოსფეროში, ისინი უკედ ჩრმუნდებიან თუ რა დიდი მანძილი არსებობს თეორიასა (ზეეროვნული არმია) და სინამდვილეს შორის (რუსული არმია) და გამოაქვთ გადაწყვეტილება თავიანთ ეროვნულ ღირებულებათა ერთგულებისა.

დაბოლოს, პრესის კითხვისას შეიძლება დაიბადოს კითხვა იმის შესახებ თუ ფედერაციულ რესპუბლიკების ახალგაზრდობა რუსებზე მეტად არ არიან მოწადინებული თავი აარიდონ სამხედრო სამსახურს და თუ ამ მხრით მათ ხელს არ უწყობს ადგილობრივი სამხედრო ორგანოები. ასეთი პრაქტიკა ყველა საზოგადოებაში არსებობს, მაგრამ ნიშანდობლივია ის, რომ სომხებს—დააგრეთვე უკრაინელებს— უკვირებენ უფრო ხშირად ამ მოქალაქეობრივი მოვალეობის შეუსრულებლობას.

საბჭოთა სახელმწიფო, პარტია, ჯარი, ცენტრის ირგვლივ შემკიდროვების სამი იარაღი ერთად მოქმედობს, რომ მიადწიოს მიზანს, რომელიც ყოველგვარი მეტრეობის გარეშე განსაზღვრული იყო 1917 წლიდანვე: სხვადასხვაგვარი საზოგადოებიდან ერთიანზე გადასვლა. არიან ისინი ინტეგრაციის საშუალებები? თუ უპირველესად საკონტროლო იარაღი? უეჭველია ეს აპარატები თანამშრომლებად იყენებენ გარეშე რესპუბლიკების ელიტებს, რომლებიც წინა დამონებული ყავდათ, მაგრამ ამ თანამშრომლობას ისინი ორი პირობით დებულობენ: მათ ურეზერვოდ უნდა მიიღონ ხელისუფლების გეგმები, რომლებიც გულისხმობენ იმ საზოგადოების ღრმა გარდაქმნას, რომელიდანაც ისინი არიან გამოსული, და უნდა გახდნენ მოწინავე გვარდია ამ გარდაქმნებისა უპირველესად, ვიდრე იყენენ წარმომადგენელი მათი წარმომშობი გარემოსი.

ცენტრალიზაცია რუსეთის ირგვლივ, რუსული ენის საშუალებით, ასეთია ძირითადი დანიშნულება იმ სამი აპარატის, რომლებიც ანხორციელებენ საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტს საბჭოთა კავშირის სივრცის კიდითი-კიდემდე.

ინტეგრაციის ეს განსაზღვრა ნათელია, ის უპირველესად ეყრდნობა ცენტრის მიერ პერიფერიების აბსოლუტურ კონტროლს. მაგრამ ინტეგრაციის საბჭოური გაგება არ შეიძლება მარტო კონტროლით აიხსნას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხელისუფლების აპარატების კონტროლს ემატება ეროვნულ აქტივისტების წამოწევა, რომლებიც გამოზრდილი არიან საბჭოთა საზოგადოების გაერთიანების საქმისათვის.

„დამხმარებელი იმპერიის“ მეოთხე თავის დასასრული.

ელენე კარერ დ'ანკოსი

ზოგიერთი შენიშვნები (გაგრძელება. დასაწყისი წინა ნომერში)

(რედაქტორის განმარტება: ვაგრძელებთ ბატონ ალექსანდრე სულხანიშვილის „ზოგიერთი შენიშვნების“ მეორე ნაწილის ბეჭევას. როგორც ამ წერილის ავტორიც ბრძანებს, ქაჭუცა ჩლოყაშვილის სახელოვან „შეფიცულთა რაზმის“ წევრიდან დღეს მხოლოდ სამი კაცი დარჩა ცოცხალი: ბ.ბ. ალექსანდრე ბალუჩაშვილი (ბალუჩი) და ალექსანდრე კარგარეთელი პარიზში და ბ. ალექსანდრე სულხანიშვილი ამერიკაში (სან ფრანცისკოში), თვითოეული ამათგანის მოგონებები შეფიცულებზე ძვირფასია და იქნება მომავლისათვის, თუმცა მათ არ მოეთხოვებათ ყველაფერი ცოდნოდათ: მათი ბელადის ფიქრთა დღევანი, პირველი ნაბიჯების მიზეზები თუ შორეული გეგმები და, რომ ზოგიერთ თარიღში ან მოვლენების დეტალებში უნებური შეცდომა არ მოუვიდეთ.

გასულ ნომერში დაბეჭდეთ „ზოგიერთი შენიშვნების“ პირველი ნაწილი, რომელიც ეხებოდა განსვენებულ თამარ პაპაიას მოგონებას, აქ ვბეჭდათ მეორე და უკანასკნელ ნაწილს, რომელიც ეხება „ივერიის“ №20-ში, ბ. მიხეილ ქავთარაძის რედაქციით გამოქვეყნე-



ბულ აწ განსვენებულ ელიზბარ ვაჩნაძის მოგონებას. ბ. ალ. სულხანიშვილი ზოგჯერ უბრალოდ მეტად მკაცრია იმ ავტორების მიმართ, რომლებსაც ის ეკამათება, ჩვენ ისინი შეგვიძინეს ძირითადი ტექსტი უცვლელია და წერილის სიაკვარგის სრული პასუხისმგებელია მისი ავტორი-ამ წერილით გამოწვეულ დავაში ჩვენ ვერა და არ ჩავერევით, მხოლოდ ერთგვით ერთს: არც ერთი ავტორი, არც თ. პაპავა, არც ელ. ვაჩნაძე ტყუილს არ იყარებდნენ, ისევე, როგორც არ იყარებდნენ ბ. სულხანიშვილი. შეცდომა კი ყველა დადამის შეიძლება მოუვიდეს, მითუმეტეს, როცა საქმე ეხება ამდენი ხნის წინად მომხდარ ამბებს. რაც შეეხება მ. ქავთარაძეს, ჩვენ მას კარგად ვიცნობთ და მისგან ყოვლად წარმოუდგენელია ტყუილის მოგონება ან ელ. ვაჩნაძის ნაამბობის განგებ გადასხვაფერება.

მომავალი პირუთენელი ისტორიკოსისათვის შესანიშნავი მასალა იქნება სწორედ ეს განსხვავებული შინაარსის მოგონებები, რათა ჭეშმარიტება აღადგინოს. ამ იმედით ვაქვეყნებთ ამ წერილს.

საკვიროდ მიმჩნია დავუმატო, რომ ამ წერილის შინაარსის შესახებ მქონდა საუბარი ალ ბაღურაშვილთან და ალ. კარგარეთელთან, ორივე თანახმაა ბ. ალ. სულხანიშვილთან. თ.ტ.)

ჟურნალ ივერიის მეოცე ნომერში არის მოთავსებული ბ. მიხეილ ქავთარაძის მიერ ე. ვაჩნაძის მოგონება. მ. ქავთარაძეს თურმე უხვეწნია ელიზბარისათვის უამბოს თავისი თავგადასავალი. „დიდი ხვეწნის შემდეგ ავლაპარაკეო, ერთი დიდი ძხვი შევაქამე, ერთი ბოთლი არაყითო, ამანაც იმოქმედაო“, ცინიკურად დასძენს ბ. მიხეილი. „ელიზბარის სოფლების სახელები და თარიღები პატარა წიგნაკიდან ამოჭკონდაო“, ავრძელებს იქვე მ. ქავთარაძე. ვინც ელიზბარის კარგად იცნობდა დამეთანხმება: ვის გაუგია ან ვის უნახავა ელიზბარის უძის წიგნაკი? რამდენჯერმე გადავიკითხე ეს წერილი, გულახდილად უნდა ვთქვა სულ არეულ-დარეულია ერთმანეთში ტყუილ-მართალი.

ელიზბარი რაზმში შეგვიანებით მოვიდა, ჩვენ პირველ ბაზაზე პანკისის ხეობაში, ღუისოფლის სათავე ტყეებში. აქ მოვიხიდა კარგახანს დგომა. თებერვალ-მარტში საშინელი ამინდები იყო; ღღეში ხან სამჯერ-ოთხჯერ გვიხდებოდა ტანისმოსის გაშრობა ცეცხლზე, ისეთი მაგარი წვიმები იყო; ამის გარდა ძალიან გაჭირდა სანოვავის შოვნა. საქართველოში შემოსულმა რუსის ჯარმა მთლად შექაშა თუ რამე მარაგი იყო და ხალხს აღარაფერი ჰქონდა. აღდგომა ამ წელიწადს მოდიდა მარტის მიწურულში; ჩვენ გადავწყვიტეთ აღდგომის შემდეგ წასვლა სიღნაღის მაზრაში, რადგან ახალი მოსავალი იქ უფრო ადრე შემოდის ვიდრე თელავის, თიანეთის ან გორის მაზრებში. ამგვარად გავვიადვილდებოდა სანოვავის შოვნა. მარტის ბოლოს დაეტოვეთ ჩვენი პირველი ბაზა, გადავედით მარტის მახლობლად, ტყეში. ერთ ღღე იქ დავადამეთ, მეორე ღღეს დილით ახმეტის ბოლოს ტყეში დავდეთ ერთი დღით ბინა. იქიდან ორი კაცი ვავგზავნეთ თეთ სოფელ ახმეტაში, ერთი ქიზიყული ბიჭი ქარუმა, მეორე ქისტო ქერემა, რომელმაც იცოდა ვისთანაც უნდა მისულიყვნენ სანოვავისათვის. ორივენი უიარაღონნი იყვნენ, რადგან ჯერ ჩვენი რაზმის არსებობის ამბავი არ იყო გავრცელებული. არ არის მართალი, როგორც მ. ქავთარაძე გვაცნობებს, თითქოს ეს ორი კაცი თავის ნებით წავიდნენ სანოვავაზე. ელიზბარი ამას ვერ იტყობა, რადგან იცოდა რაზმიდან თავისნებობით ვერაფერ წავიდოდა რაზმის წესდებით. ეს ორი რაზმელი, თავიანთი გამოუცდელითი, ადვილად ჩაუვარდნენ ხელში მილიციონერებს და პარტიულებს. ესენი ბევრი აწამეს. ქიზიყულ ბიჭს ვერაფერი ათქმევინეს, ქისტმა კი ყველაფერი დაფქვა, მანვე აჩვენა ჩვენი ბინა. ვაგზავნილმა ბიჭებმა ძალიან დაიგვიანეს; ჩვენ მიგზვდით, რომ ისინი ჩაუვარდნენ ხელში კომუნისტებს, ამისათვის ძალიან ფრთხილად ვიყავით; ვზვევრამდით თუ ვინმე მოდიან ჩვენთან. დავინახეთ დაახლოებით ოცდაათი მილიციელი და პარტიელი ალყას გვაკრტყამენ; ერთი მთვანი, თეთრი ხალხით, ეტყობოდა უფროსი იყო; მილიციელებს გზავნიდა სხვადასხვა ადგილზე. მე ძალიან ვეღვალავდი; შინიღდა მალე მესროლა მანამ ისინი გამაგრდებოდნენ, მაგრამ არ შეიძლებოდა მანამ ქაქუცა არ გვეტყოდა; ეს ღროც დადგა, ქაქუცამ დამიძახა მე, დაუძახა დათიკო ფარეულიძეს, დათიკო ქისტო იყო, ღუისოფლიდან, პანკისიდან, ჩემი ძმად ნადიცი. ასე მოგვმართა ქაქუცამ: აბა, ძმადნადიციბო! აგე ის თიერხალათიანი კარგად ამოიღეთ ნიშანში და ჩემი კარნახით

ესროლეთ. ასეც მოვიქცეთ. გავარდა ორი თოფი როგორც ერთი, თეთრხალათიანი კომისარები მაღლა შეხტა და დაეცა ძირს, დანარჩენები გაიქცნენ. მერე გავივით, რომ კომისარები ნატყვიარი ჰყრიდა. ელიზბარი იმ დროს ჩვენს ზურგში იდგა, როდესაც ქაქუცა გველაპარაკებოდა და გვიყარანახა, არ შეიძლებოდა მას არ ეთქვა, რომ ჩვენ ორმა ვესროლეთ. ამის გარდა, ქაქუცამ იმიტომ გვასროლია ჩვენ ორს, რომ იცოდა ჩვენი სროლის ფასი. ეს საკვებური არ არის, მაგრამ რად უნდა დაიძალოს სიმაართე? ბ. ქავთარაძე წერს: კომისარი ფარეულძის ტყვიამ მოკლაო. კომისარისთვის ჩვენ ორის მეტს არავის უსროლია და, რომ მას ორი ტყვია ჰქონდა მორტყემული, იმის მნახველი დღესაც საფრანგეთში იმყოფება. მართალი არ არის, რომ ჩვენ ორი ჩვენი დატყვევებულები ამხანაგის განთავისუფლებას ვაპირებდით და აი რადა: ამხეტა დიდი სოფელია, შეფიცულები მეჭიწილი გამოუტყდელი იყვნენ და თანაც ცოტანი ვიყავით. სად შეგვეძლო ამხელა სოფელში გაეფანტულიყავით, არც ვიცოდით მათი ძალა სოფელში. ჩვენ სხვანაირად ვცდილობდით მათ განთავისუფლებას, მაგრამ საბუბურად იმავე დამეს წაუყვანიათ თელავში, იქიდან კიდევ თბილისში.

ამის შემდეგ გავმტვრეთ სიღნაღის მახრისაკენ. რომელ სოფლის მახლობლად დავდებდით ბინას, იმ სოფლის წარჩინებულ კაცებს ან ყოფილ მხედრებს ვნახულობდით. ქაქუცა მათთან მოლაპარაკებას აწარმოებდა მომავალ ამბოხების მოსამზადებლად.

წინანდლის მახლობლად, ერთ დამეს მოვიდა ჩვენთან შაქრო ბაღურაშვილი, თან მოიყვანა ერთი შვილი, ასე მიმართა: ბატონო ბელადო ოთხი ბიჭი მყავს, უფროსი ბიჭი შენ მოგიყვანე, სამშობლოს ჰკირის სანაცვლოთაო, იმსახურე და ასწავლე სამშობლოს სიყვარულიო. ჩვენ, შეფიცულებზე დიდიდ იმოქმედა ღრმა პატრიოტულმა საქციელმა ბაღურის მამისამ.

შემდეგი ბინა იყო ქოდალოს ტყეებში; აქ დაერჩით რამდენიმე დღე. ერთხელ ქაქუცამ მითხრა წამოდი ჩემი და ვნახოთო, მეც გამიხარდა, კარგად ვიცნობდი ქაქუცას დას და ვმეგობრობდი; ის გთხოვლი იყო ქოდალოში ანდრონიკაშვილზე. იმავე დამეს წავედიო ქაქუცა მე და ბათირა. მთელი დღე დავერჩით მათ სახლში, ბევრი კარგი დღე მოვივლოთ. ბ. ქავთარაძე წერს ვითომ ქაქუცას მიუღწეველ იყო ჩამოსული ქაქუცასთან შესახვედრად. მართალი არ არის, ქაქუცას მეუღლეს არ შეეძლო რამდენიმე დღით სადმე წასვლა, რადგან მუდამ ჯაშუშების თვალქვეშ იყო. ქაქუცა თავის მეუღლეს სულ ორჯერ შეხვდა, ორჯერვე ჩემი თანდასწრებით, ისიც სულ ახლო სადაც ცხოვრობდნენ მისი ცოლ-შვილი.

დავიძარით გარეკახეთიდან ყარაღაჩის ტყეების(სიღნაღის მახრა) მიმართულებით.

გზა მიდიოდა ერთ ხეობაში, სადაც ბევრი მიხვეულ-მოხვეული იყო ამისათვის ქაქუცამ მითხრა: წაიყვანე სერგო და წადი წინ მხვერავადო; წავედიო მე და სერგო მაისურაძე, როგორც წესია მომზადებულნი. დიდმა ხანმა არ გაიარა ერთ მოხვეულში წაავწყდით ექვს მილიციონერს, თითქმის ას ნაბიჯზე. ჩვენ მზად ვიყავით, მათ კი თოფები მხარზე ეკიდათ; ავაწვივინეთ ხელები და უმაღვე განვაიარაღეთ, მაგრამ ესენი ექვსნი იყვნენ და არა ორი, როგორც წერს ბ. ქავთარაძე. რაზმი, რომ წამოგვეწია, შეფიცულებმა დაინახეს ექვსი კაცი იარაღ-აყრილი, მილიციონერები თუ პარტიელები, ეშმაკმა იცის მათი თები, კბილები დაიღეს და მიმართეს: მეტი ვერაფერი საშუალო ვერ იშოვნეთ, რომ კომუნისტების სამსახურში შესულხარ და დავგვედეთ თქვე გათახსირებულებოო--- იმდენად იყვნენ აღუგებულნი შეფიცულები, რომ ცუდად წავიდოდა მათი საქმე, მაგრამ ქაქუცამ იპატიო, დაართვა: გამოიღო ამ სამსახურიდან თორემ თუ მეორედ ჩავვივარდით შე ველარ გიშველითო. ეს იარაღაყრილი მილიციონერები თუ პარტიელები, როცა მივიდნენ უიარაღოთ თავიანთი უფროსებთან უთქვამთ ვითომ ჩვენ ორმომცდათზე მეტი ვიყავით, იმდენად იყვნენ დამფრთხალი, თუმცა ჩვენ ჩვიდმეტი კაცი ვიყავით. აი, ამის შემდეგ ყველა რაიონში, მთელ კახეთში კომუნისტებმა შექმნეს ღონიერი რაზმები, სპეციალურად ჩვენს სადენად. მთავრობა მიხვდა, რომ ჩვენ სიღნაღის მახრაში ვტრიალობდით.

ჩვენც მოგვივდა ამბუჯი, რომ ასეთი მაგარი რაზმი ჩამოაყალიბეს სიღნაღში, ვცდილობდით როგორც შევხვედროდით. ეს დღეც დადგა. გავივით ეს რაზმი წავიდა თუქურბისაში და უნდა ჩამოიარონ უზუნდარის ხეობისკენ, შარა გზით. აქ შევეკარით გზა. ამ დროს რაზმი უკვე იყო 21 კაცისგან შემდგარი. ქაქუცამ რაზმი გაყო სამ ნაწილად. ცენტრში იყო თვით ქაქუცა, მე, ვასო თამაზაშვილი, ილიკო იაშვილი, იმ დროს ქაქუცას თანაშემწე, მალაქია და კიდევ სამი სხვა, შემოსავალში იყო ელიზბარი ექვსი კაცი



და ბოლოში ჯამასპიშვილი კიდევ ორი იუნკერი და სამი კაცი. პირველი უნდა ესროლა ჩაქუცას, ესე იგი ცენტრიდან. ამ ადგილას დიდი ტყე არ არის, ჯაგნარია მთელი გზის პირი, ისე, რომ ფეხზე ამდგარი კაცი ჩანდა გზიდან; ამისათვის მე ვიყავი ჩაქუცასთან ახლო და ნახევრად ამდგარი ფეხზე, ვთვალე რებდი როდის მოვა მათი შუა რაზმი ჩვენი ცენტრის პირდაპირ, რომ ესროლოს ჩაქუცამ. მოვიდა მათი რაზმი ჩვენს პირდაპირ, დანიშნულ ჩაქუცას, ატყდა სროლა და ისინი ცხენებიდან ცვიოდნენ ზოგი ტყვიამორტყმული და ზოგიც შიშისაგან. ამ ბრძოლაში მათი მხრიდან იყვნენ 50-55 კაცი, ზოგი ვითომ გამაგრდა არხებში, გვესროდნენ, მაგრამ მალე დაგვენდნენ. ჩვენ დაგვეჭრა ერთი კაცი, ვანო ვაჩნაძე, მათი მოკვდა თორმეტი კაცი; ექვსი კაცი დაიხვრიტა. მართალი არ არის, რომ 17 კაცი მოკვალით. ერთი მათი კაცი ცხენმა გაიტაცა ორივე ხელებში დაქროლი, დანარჩენები ტყვედ ჩავარდნენ, ჩაქუცამ ბევრი დარიგება მიცა და ყველაზე გაუშვით.

რაც შეეხება წინანდლის საქმეს, რომ მიშა ნაცვლიშვილს დაავალა ბელადამო დაქვარა ორი მართლა საძაგელი კომუნისტებისა, რომლებიც საშინლად ექცეოდნენ ხალხს, მაგრამ ნაცვლიშვილმა ვერ შეასრულა დავალება, ამისთვის ბელადი ძალიან გაუწყრაო წერს ბ. ქავთარაძე. მართალია მიშა ნაცვლიშვილს ჰქონდა ეს დავალება, მაგრამ ვერ შეხვდა მათ და მწყემსებს ხომ არ დაიჭირა ან დახოცა. ჩაქუცა ალბათ თითონ უტყუებდა, რომ ისინი იქ იყვნენ და ნაცვლიშვილმა არ შეასრულა დავალება. ჩვენ თითო ერთი კილომეტრით ვიყავით დაშორებული იმ ადგილიდან, როგორ დაინახავდა ჩაქუცა თუ რა ხდება ამ სიშორეზე და ისიც ტყიდან? ამის გარდა, ჩაქუცამ კი არ დატუქსა, არამედ როგორც იცოდა თითქმის ხუმრობით უთხრა: აი თქვე უხეირობო! ვერ დაიჭირეთ ის საძაგელი კომუნისტები?

წინანდლის სასოგადოებამ მოაწყო თეატრი, რის შემდეგაც უნდა ყოფილიყო ვახშამი; ამ ვახშამზე დაესწარბოდნენ ეს მოსაშორებელი კომუნისტებიც და აი აქ უნდა დაგვეჭირა ყველა ერთად. ამის ასრულება ჩაქუცამ დაავალა შალიკო ფავლენიშვილსაო, ასე გვიამბობს ბ. ქავთარაძე. იმ საქმის ასრულება ფავლენიშვილს კი არ დაავალა, არამედ თვით ელიზბარს და მიცა: მ. ხმალაძე, ბაღური, ბაკურაძე, ლ. ოზანელი, მ. ნაცვლიშვილი, ჩითინაშვილი, ვასო თამაზაშვილი, მ. მაისურაძე, მ. მაისურაძე და კიდევ სამი სხვა. მე მიშა ავად ვიყავი და ბინაში ვიყავ თითქმის მთელი კვირა, მაგრამ ყველაფერი კარგად მივიცო. ამათ წამოვიყვანეს ამ ვახშამიდან ხუთი კომუნისტი და არა რვა, რომელნიც იყვნენ დახვრეტილი. შ. ფავლენიშვილი იმჟამად არც კი იყო რაზმში, თუმცა თავიდანვე ის იყო დანიშნული ჩაქუცას თანაშემწედ, მაგრამ მანამ მას შეეძლო თავისუფლად სიარული ჩაქუცა გზავნიდა დავალებებით, სადაც საჭირო იყო. არ არის მართალი, რომ მთელი რაზმი ვიყავით დათა ვაჩნაძესთან და მაგრა ვიქეიფეთ. მართალია ვაჩნაძესთან ვიყავით სულ მოკლე ხნით, მაგრამ არავითარი ქეიფი იქ არ ყოფილა. ვის ექეიფებოდა მაშინ, მეძებრებოვით დაგვედგნენ კომუნისტები, და ამის გარდა, რაზმელებს უფლება არაფერს არა ჰქონდა ორი ჭიქის დალევის მეტი.

მადაროსკარის ბრძოლაში 65 კაცისგან შესდგებოდა ჩვენი რაზმი, ჩვენი მღევარი იყო, როგორც შემდეგ გამოიკვსა, 250 კაცზე მეტი. მათ შორის იყო ორი მწყობრი რუსის ჯარი. ეს მოხდა ვაჟა ფშავიასაგან აშენებულ სკოლის ეზო-მიდამოში, რომელიც მდებარეობს არაგვის პირზე და თან გზა მოსდევს ბარიდან. სკოლის ეზოს უკანა ნაწილს ფერდობი აქვს და იქვე არის ძველი ეკლესიის ნანგრევი-„ნიში“. ეზოს ყოველ აქვს შემოვლებული გარშემო, ეზოში ბევრი ხეხილის ხეებია, აი აქ ერთ ვაშლის ხის ქვეშ იყო ჩვენი ბინა. ყარაული გვედგა ბარიდან მომავალ გზაზე, ამ ვაშლქვეშ იყო გაშლილი ნახადი, ერთ მხარეს ჩაქუცა იწვა, მეორე მხარეს მე. ორივეს მთელი ზაფხული დღე გამოშვებით გავაციებდა. აი სწორედ ამ დღეს სიტხიანები ვიყავით, მე სულ მაღლა-მაღლა მახტუნებდა. რადგან აქ ძალიან საშიში ადგილი არ იყო შეფიცულები დაიფანტნენ ტყეში თხილის და შვინდის საკრეფად, ზოგიც ბანაობდა. ყარაულმა გვიან შეამჩნია მდგევარი და რადგან ვალარ მოასწრებდა შეტყობინებას დროზე, თოფი გაისროლა. ბინაზე ვიყავით იმჟამად 12-15 კაცი. თოფის გასროლისთანავე წამოგვცვივდით, დავიკავეთ კარგი ადგილები, ატყდა საშინელი სროლა, მათ მოასწრეს სკოლის ეზოს წინა ნაწილის დათავება. პირველი მათი იერიში ჩვენ შევაჩერეთ. ჩაქუცა ამ დროს იდგა ნანგრევი ეკლესიასთან და გაფანტული შეფიცულები რომ მოზობოდნენ გზავნიდა საითაც საჭიროდ ხედვდა. ეს ბრძოლა იყო ძალიან ღამაზი და მოზომილი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ.

ისინი ცდილობდნენ ალყაში მოგეჭქით, მაგრამ მოხდა უკუღმა: ისინი მოემწყვდნენ რეალური, საუბედუროდ ბევრი გაგვექცა. სასტიკად დამარცხდნენ კომუნისტები. ამ ბრძოლაში სიტყვიერად სრულიად გამომწვევდა და თავისდღეში აღარ გავუტევივებივარ. ქაქუცასაც აგრეთვე სულ ჩქარა დააწვდა თავი ციგებმა. ბ. ქავთარაძის ცნობით ვითომ რვა საათი გვქონდა ბრძოლა, ასი კაცი მოკვდა მათიო, ტყვედ ჩავვიფარა 15 კაციო, რომლებიც უკლებლივ დაიხვირდნენო. ქაქუცა ტიფით იყო ავადო, რესტორანში სადილობდაო და მრავალი ტყუილი. სინამდვილეში ასე იყო: ბრძოლამ გასტანა დაახლოებით საათნახევარი, შეიძლება ორი საათი. მოკვდა იმათი 25-30 ჩევისტი, ტყვედ ჩავვიღეთ 22-25 კაცი, ამათვან დაიხვირტა შვიდი კაცი. დანარჩენები გავუშვით. ღიძალი იარაღი დაყარეს და ისე გაიქცნენ. რამდენიმე ცხენი დატვირთული თოფებით მითილებს მივყვით. ასი კაცის მოკვლას ბრძოლაში ღიძი ხანი სჭირდება. რუსეთ გერმანიის ომი ხომ არ იყო რვა საათი გვებრძოლა და ასი კაცი მოგვეკლა! ჩვენ მხრიდან დაიჭრა შალიკო კანდელაკი ბარკალში და გიორგი გვერდწითელი ნიკაპში. იმ დამეს იქვე დავრჩით, მეორე დღით წავეღით ხევსურეთისკენ. ქაქუცა თავისდღეში ტიფით არ ყოფილა ავად ან კიდეც რესტორანში, სად არის იქ რესტორანი?

როგორც მუდამ, ქაქუცამ დანიშნა ელიზბარი ხუთი კაციო, რომ წინ წასულიყო და ორწყალის სიმაგრე დაეკავებინა, იქ, სადაც ფშავის არაგვი და ხევსურეთის არაგვი იყრებინა მაგარი ადგილია, უთოსავით წამოწყვდილი ღიძი კლდე და ვინც მას დაიკავებს შეუძლია ხევსურეთში ან ფშავეში არავინ შეუშვას. რადგან ხმა იყო გაყარდნილი ვითომ 80 კაცია წამოსული, რომ ჩვენ ხევსურეთში არ შეგვიშვანო, ამისთვის გაიგზავნა წინ ელიზბარი, რომელმაც დაიკავა ის სიმაგრე, ჩვენც სულ მალე მივეღით იმ ალავს და არავითარი 80 კაცი ტყვე ჩვენ არ ჩავგვარდნია სუ ქორანი გამოდგა, არც ვინმე წამოსულა გზის შესაკრავად. როგორ მოიგონებდა ამისთანა ამბავს ელიზბარი: 80 კაცი ტყვედ ჩავიგვადებო?

ცივის მთის ბინაზე დამე, რომ ქაქუცამ გავგაღვიძა მე და ელიზბარი, ეს მართალია. მან ნახა სიზმარი ვიღაც ქართველმა ქალმა გააღვიძა და უთხრა: ადექით, აქედან წადითო! ამისათვის გვითხრა: გააღვიძეთ რაზმელები, აქედან უნდა წავიდეთო. მაშინ მე ვუთხარი: სამი კაცი, რომლებიც აქ, ამ ბინაზე უნდა მოვიდნენ, ისინი ხომ ვეღარ გვიპოვებენ რომ ეხლავე წავიდეთ? მაშინ გადაწყვეთ გათენებამდის დაუტყალი და თუ მანამდის არ მოვიდნენ მაშინ წავიდეთ. გათენება მოტანებული იყო, რომ ბინა დავტოვეთ, ერთი კილომეტრის მოშორებით დავდეთ ბინა. კარგად გათენებული იყო, რომ რამდენიმე თოფის ხმა შემოგვესმა. ჩვენ მივხვდით, რომ შეიძლება სანოვაგებზე გაგზავნილმა ჩვენმა სამმა რაზმელმა დამე ველარ მოგვაგნეს და გათენებულზე წააწყდნენ ჩვენი მღვდარს. საუბედუროდ მართლა ასე მოხდა. ამისთვის ბელაძე ვაგვგზავნა მე და ს. მაისურაძე ვაგვეყო ჩვენი სიმა რაზმელის ამბავი და ამისათვის თავი შევიმარგეთ. კარგა ხნის შემდეგ ბინის პატრონი მოვიდა, მას დავეძახეთ და ვკითხეთ თუ რა მოხდა. მან გვითხრა, რომ ჩვენ ნაბინავართან ახლოს სროლა იყო, მაგრამ არ ვიცი სწორე რა მოხდაო. ამისათვის ვაგვგზავნეთ გასაგებად. სულ ჩქარა დაბრუნდა მწყემსი და გვიამბო: ორი რაზმელია მოკლული, მესამე გაიქცაო. აწერილობით მივხვდით ვინ იყვნენ დახოცილი. დაბრუნდნენ რაზმში და მივითხრეთ ეს გულსაკლავი ამბავი. ბ. ქავთარაძე წერს: სულხანიშვილის მოტანილი ამბავი მდგომარეობას არ არკვევდაო. მეტრს ეგებება რაღა შეიძლებაო? შუალდის ხანზე ქაქუცამ ვაგზავნა ელიზბარი ოთხი კაციო ეგების დახოცილი რაზმელების ცხედრები გამოეტანა და დაესაფლავებია. ელიზბარი სულ მალე დაბრუნდა, რადგან ვაიგო დახოცილი რაზმელები თელავში წაასვენეს კომუნისტებმაო. ბ. ქ. ქავთარაძის ცნობით, ვითომ ხმალაქმე თავი მოიკლა. ვინ დანიხა რომ თავი მოიკლა? მილიციონერებს ვინდაც დანიხათ, რომ ხმალაქმე თავი მოიკლა მაინც არ იტყოდნენ. ლალი, მესამე, რომელიც გაიქცა, ის ვერ დანიხავდა. ბაკურაძემ იარაღი დაყარა, მაგრამ მაინც მოკლესო. ცოცხალ ტყვედ ჩავარდნილს მილიციონერები არ მოკლავენ, რადგან მინა ესპირიტებთ გაიგონ რაზმის



ამბავი. სინამდვილეში კი ასე იყო: ჩასაფრებულმა კომუნისტებმა პირველ სროლისთანავე მოჰკლეს ბაკურაძე და ხმალაძე. შესამე გაიქცა.

ელიზბარს დაავალა ბელადმა გომბორის მთაზე ამოსულ ერთი ასეული რუსის ჯარს დაეცეს და იარაღი აჰყაროს. ისინი იყვნენ ამოსული დასასვენებლად, ცხენები ჰყავდათ იალალზე გაშვებული. ამისთვის მისცა ათი კაცი და ამათ უნდა შეერთებოდა ათი ხევსური, სოფელ პანტიანთან. ოპერაცია მუდამ ამისთანა გარემოებაში დამთავრდებოდა. როდესაც სულ ახლოს მივიდნენ კარგებთან, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, ყარაულმა გაუგო და თოფი გაისროლა, გამოუცდელმა ხევსურებმა ასტეხეს სროლა და კინაღამ თავიანთი ამხანაგები, წინ წასულნი, არ დახოცეს. პირველ კარაგებიდან რუსები ტიტვლები გაიქცნენ, მაგრამ რამდენიმე კარაგი იყო და სხვებმა იარაღი აიღეს, ისე, რომ ამ ოპერაციიდან ბევრი რამე ვერ გაკეთდა. წამოიღეს რამდენიმე თოფი და ექვსი თუ რვა ცხენი, რომლებიც ხევსურებმა გაგზავნეს ხევსურეთში. ბ. მ. ქავთარაძე წერს: ეს მოხდა 22 აგვისტოსაო. რანაირად შეიძლება, როდესაც თითქმის მთელი აგვისტო გახურებული ბრძოლები გვქონდა ხევსურეთში?! (დასასრული.)

ალექსანდრე სულხანიშვილი

ს ა მ შ ო ზ ლ ო ს ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი

კათალიკოს ილია მეორეს მოგზაურობა

ვ ა ტ ი კ ა ნ შ ი

მიმდინარე წლის 6 ივნისს, მისმა უწმიდესობამ, რომის პაპმა, იოანე-პავლე მეორემ ვატკანში მიიღო უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქ. კათალიკოს-პატრიარქი, მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს პრეზიდენტი, ილია მეორე. საუბარი, რომელიც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, შეეხო რომის და საქართველოს ეკლესიების ურთიერთობას და ასევე ყველა ქრისტიანულ ეკლესიების ურთიერთ დამოკიდებულებას.

პაპმა იოანე-პავლე მეორემ მაღალი შეფასება მისცა საქართველოს ეკლესიის დამსახურებას ქრისტიანულ რწმენის დაცვის საქმეში და ბრძანა, რომ ყველა ქრისტიანის მთავარი ამოცანაა ერთობის აღდგენა რწმენის საკითხშიო.

--- --- --- ---

ი ს რ ა ე ლ შ ი

გაზეთ „ალია საქართველოდან“ შევიტყვეთ, რომ ა.წ. ივნისის დასაწყისში ისრაელში იმოგზაურა 9 კაცისაგან შემდგარმა საქ. ქრისტიანულ ეკლესიის დელეგაციამ, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ილია მეორის მეთაურობით, რომელმაც დათვალა კვეყნის ღირსშესანიშნაობანი, საერთოდ ქრისტიანული და კერძოდ ქართული ქრისტიანული ძეგლები, მათ შორის იერუსალიმის ჯვრის მონასტერი.

ილია მეორეს ორჯერ შეხვედრა ჰქონდა ისრაელის რელიგიის სამინისტროში, სამინისტროს გენერალურ დირექტორთან, ბატონ ლიპელთან.

მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ ისრაელში მცხოვრები ქართველების წარმომადგენლები რამოდენიმეჯერ ინახულა და სერობაც გამართა მათთან ერთად. ილია მეორემ დადი სიმბატები გამოამყლავნა რუსთაველის საზოგადოების მიმართ და სურვილი გამოთქვა, მიუხედავად დიპლომატიური ურთიერთობის უქონლობისა, დამყარდეს კულტურული კავშირი საქართველოსა და ისრაელის ქართველებს შორის.

საპატიო სტუმარს ისრაელის ქართველებმა ძღვნად მიართვეს განსვენებულ ბორის გაპონოვის მიერ ივრითულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“.

--- --- --- ---





უ ე ნ ე ვ ა შ ი

ა.წ. აგვისტოს ბოლო რიცხვებში უენევაში გაიმართა მსოფლიო ეკლესიების საბჭოს ცენტრალური კომიტეტის კრება, რომელმაც ბევრი საერო საკითხები განიხილა და არც ერთი სარწმუნოებისა, რომლისთვისაც ძირითადად ის არის მოწოდებული.

სხვათა შორის კრებამ იმსჯელა და დაგმო აპარტაიდი; სამხრეთ ამერიკის მიმართ, კომიტეტმა, მოუწოდა მთავრობებს გამოიტანონ ფინანსიური დახმარებები საბანკო სესხები ამ ქვეყნიდან და დააწესონ ემბარგო ბენზინზე და იარაღზე, რათა სრულ იზოლაციაში იქნეს მოქცეული ეს ქვეყანა. საბჭ. კავშირის ეკლესიების წარმომადგენლების დაქინებული მოთხოვნით, კომიტეტმა სპეციალური ფონდიდან გამოყო დახმარება ციმბაბვეს „პატრიოტულ ფრონტისთვის“. ამ გადაწყვეტილების საპროტესტოდ საბჭოდან გავიდა ირლანდიის პრესბიტერიანული ეკლესია.

ასევე, რუს დელეგატების წინააღმდეგობის მიზეზით, კომიტეტმა თავისი დამოკიდებულება ვერ გახსაზღვრა ავღანისტანისა და პოლონეთის ამბების მიმართ, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ კრემლი თავისი პოლიტიკის იარაღად იყენებს მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს.

--- --- --- ---

თბილისის სიმებიან კვარტეტის წარმატება ევიანის საერთაშორისო ფესტივალზე

მიმდინარე წლის მაისში, ქალაქ ევიანში(საფრანგეთი) ჩატარდა სიმებიან კვარტეტების საერთაშორისო კონკურსი, სადაც წარმოდგენილი იყო და მეორე პრემია მიიღო თბილისის „სიმებიანმა კვარტეტმა. მსოფლიო მუსიკის კრიტიკამ განსაკუთრებით აღნიშნა ეს დამსახურებული პრემია და ხაზი გაუსვა შესრულების მაღალ დონეს. სამწუხაროდ, ამავე კრიტიკამ თბილისი რუსეთად დაუხატა თავის მკითხველებს და ქართული კვარტეტი რუსულად.

მგალთიად გერმანულ „ზულდოიჩეცაიტუნგ“-ში აღბრებტ როსიელი წერდა: „მუსიკის კრიტიკოსების ყურადღება მიიბყრო, განსაკუთრებით, რუსებმა(იფულოსხმება: თბილისელებმა) და ამერიკელებმა...“ უკვე ნაციონალური რუსული დაფნის გვირგვინით შემკობილი კვარტეტი, თუ დასავლეთში კიდევ გამოუშვებენ, იქნება დასავლეთის სიმებიანი კვარტეტის პალიტრის გამდიდრებაო.“

აქ მომაგონდა სულმნათ ილიას „იანიჩარი“:

„...ვსტქვი თუ, ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა?
შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამლუპველს ოსმალეთსა?
შენს სიმარდეს, სიჩაუქებს ქართლი შენი არ დაპყურებს,
მეფე შენი თავის ქებით ჭაბუჯს გულს არ გიხალისებს!“

--- --- --- ---

კომპოზიტორი ფილიპე ლლონტი

მელომანების ყურადღებას მივაქცევთ კომპოზიტორ ფილიპე(ფელიქს) ლლონტზე, მისი სიმფონია №6 ანუ „ვიტა ნოვას“ სიმფონია, რომელიც დანტეს სონეტებითაა შთაგონებული, უკვე ფართოდ გავსცდა სამშობლოს და თვით სსრკ-ს საზღვრებს. მალე ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში გაიმართება მისი პრემიერა. დასავლეთ გერმანიაში, სადაც ამ მუსიკას დიდი მოწონება აქვს, იმედოვნებენ მალე მოეწყობა ფელიქს ლლონტის სიმფონიური კონცერტის პრემიერა.

--- --- --- ---

საქართველოს ოლიმპიელი ჩემპიონები

საქართველოდან სულ 16 ათლეთი მონაწილეობდა მოსკოვის ოლიმპიადაზე, მათგან 12 მედალოსანი გახდა: 3 ოქროს მედალი-მშვილდოსან ქეთევან ლოსაბერიძეს, კლასიკური სტილის მოჭიდავე ვახტანგ ბლაგიძეს და ძიუდოსიტ შოთა ხაბარულს; 4 ვერცხლის მედალი- მძლეონებს საიდა ძუმბას და ვიქტორ სანაევს, ძიუდოსიტ თემურ ხუბულურს და ხელბურთულ ალექსანდრე ანტიპოლოვოს; 5 ბრინჯაოს მედალი: წყალბურთოელი ლინა ცოტაძე, კალათბურთელი ნიკოლოზ დერიუგინი, ფეხბურთელები ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, რევაზ ჩელებაძე.



ხალხური პოეზიის 12 კორპუსი

ვინ არ იცის ფოლკლორის დიდი მნიშვნელობა. ის არა მარტო ესთეტიკურ სიამოვნების მომნიჭებელია, არამედ აგრეთვე ცოდნის უძირო წყაროა და მასში არეკლილია ერის მთელი წარსული. საქართველო უარესად მდიდარია ფოლკლორით. მას ესაჭიროებოდა შეგრავება და მეცნიერული დამუშავებები. ამ მხრივ ჩანს სერიოზული მუშაობა ჩატარებული. საქ. მეცნიერებათა აკადემიის თაოსნობით შექმნილმა სარედაქციო კოლეგიამ, რომელსაც პროფესორი მიხეილ ჩიქოვანი მთავარრედაქტორობს, 1972 წლიდან მოყოლებული დღემდე უკვე გამოსცა რვა ტომი და გამოსაცემი დარჩა ოთხი ტომი. „ქართული ხალხური პოეზიის“ მასალები შედგენიარა და დალაგებული: პირველ ტომში და მეორეში შესულია უძველესი მითოლოგია და თეოგონია (ქვეყნის და ადამიანის გაჩენა, ბიბლიური და ქრისტიანული ლეგენდები), მსამე ტომში აფორიზმები და სასიმღერო ტაგები, მეოთხეში ბრძოლა მომხდურებთან, ტომობრივი შუღლი, გმირის იდეალი, საგმირო-სახობო, საგმირო-სამაგლოვიარო და საგმირო-სამონადირეო, მეხუთე ტომში შეტანილია სახალწლონი, ადლო, ჭონა, ბერეკაობა, ოჩხარი, ხმით ნატირალი, მოსაგონარნი და საქორწილო ლექსები, მეექვსე ტომში წარმოდგენილია: ქება, ნატვრა, სატრფიალო გაბაასება, ქართული პასტორალი, სატრფიალო წერილი, ელეგია, მინიატურა და ბალადა. მეშვიდე ტომში წარმოდგენილია: წუთისოფელი, სოციალური მოტივები, ბუნება, ფრინველები და ცხოველები, სამონადირეო პოეზია, მერვე ტომში წარმოდგენილი პოეზია ეხება: დედ-მამას, და-ძმობას, ცოლ-ქმრობას, რძალ-დედამთილს, პატარძალს, ვასათხოვარ ქალს, სიძე-სიმამრს, ქვრივს, ნათლის და ნათლიდედას, სტუმარ-მასპინძლობას, მწყემსურს, აკენის სიმღერებს და სხვა. დარჩენილ ოთხი ტომის მასალები მომზადებული ყოფილა და მალე იბილავს დღის სინათლეს. ხალხური პოეზიის თორმეტტომეულის გარდა გადაწყვეტილია 30 ტომად გამოიცეს ქართული ხალხური პროზა.

„მოდალატე“

ასეთი სათაურით გახ. „კომუნისტში“ (3.8.1980.) დაბეჭდილია სპეციალური კორესპონდენტის სერგო ყურაშვილის წერილი, რომლიდანაც ვგებულობთ: 29 ივლისს დამთავრდა საქ. სსრ-ის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის სხდომა მექრთამეთა დანაშაულებრივ საქმეზე. ამ ბრალდებულთა ჯგუფს მეთაურობდა თბილისის 26 კომისრის რაიონულ საბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე იუზა აპოლონისძე კობახიძე, ხოლო მონაწილენი იყვნენ: რაიონმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, განყოფილების უფროსი, ინსპექტორი, ეკონომიკის მეცნიერებთა კანდიდატი და სხვა, სულ 40-ზე მეტი კაცი. როგორც გამოძიებამ ისე სასამართლომ დაადგინა, რომ ეს ბოროტმოშქმედთა ჯგუფი 1976-79 წლებში ვაჭრობდა სახელმწიფო და კოოპერატიულ ბინებით და ამ გზით, ქრთამის აღებისა და უკანონოდ გაცემულ ბინების საზღაურის სახით, იღებდა თანხა მითთვისა. დადგინდა, რომ მექრთამეებს დადგენილი ჰქონდათ შემდეგი ნიხრი: ოროთახიანი ბინისთვის 6-7 ათასი მანეთი, სამოთახიანისთვის 8-9 ათასი მანეთი, ოთხოთახიანისთვის კი 10 ათასი მანეთი.

სასამართლომ სიკვდილით დასაჯა რაიონმასკომის ყოფილი თავმჯდომარე იუზა კობახიძე, ხოლო დანარჩენებს აიღიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ჰქონების კონფისკაციით.

აქედან სამი მთავარი დასკვნა უნდა გავაკეთო:

1. ზემოდ მოტანილი ქრთამების ოდენობა თავისთავად მეტყველებს საცხოვრებელ ბინის უსაშველო კრიზისზე დღევანდელ საქართველოში, და, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ ძალუხს მისი მოგვარება. იუზა კობახიძე განტეგების ვაცია, რმლის სამაგალითო დასჯამ უნდა დამალოს მთავარი დამნაშავე-საბჭოთა მთავრობა და მისი საბნაო პოლიტიკა.
2. საქ. ხელისუფლნი შეშფოთებულნი არიან მაღალი პარტიული და სახელმწიფო თანამდებობის პირთა მორალური გახრწნი.
3. სასამართლოს განაჩენი ბრალდებულ იუზა კობახიძის მიმართ ბარბაროსულია. დაუშვებელია სასამართლომ სიცოცხლე მოუსპოს ადამიანს ქრთამის აღების ბრალდებით. გარდა წინასწარ განზრახვით შესრულებულ განსაკუთრებით აღმამფთებელ მკვლელობისა სასამართლო,



რომელიც თავის თავს პატივს სცემს, სიკვდილის განაჩენს არ გამოიტანს. საბჭოთა სასამართლოში სულ ჯიჯრო და ჯიჯრო განშირდა სიკვდილით დასჯა საბჭოთა სასამართლოს, მიქრთამეობის, გაფლანგვის და სხვა ბანალურ დანაშაულებებისათვის.

--- --- ---

და ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს ი თ ბ ი ლ ე

წელს სრულდება 275 წელი დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის დაბადებიდან. უკვე აპრილის თვეში შეიქმნა საკავშირო და რესპუბლიკური საიუბილეო კომისიები. საკავშიროს თავმჯდომარეა ა. სურკოვი, საქართველოს კი თავმჯდომარეობს მინისტრა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ოთარ ჩერქეზია. საიუბილეო კომისიის გეგმები ამჟამად ცნობილია. საქართველოში ზეიმი დაიწყება 11 ოქტომბერს, თბილისში, მწერალთა კავშირის, მეცნიერებათა აკადემიის და სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული სამეცნიერო სესიით. შემდეგ ზეიმის მონაწილენი ჩაელენ საგურამოში, სადაც პოეტი დაიბადა, ლამისყანაში, საიდანაც ის ლეკებმა მოიტაცეს, დაესწრებიან სახალხო დღესასწაულს „გურამიშვილობას“, ასევე მონაწილეობას მიიღებენ სტრამში გამართულ „პოეზიის საღამოში.“ 13 ოქტომბერს დიდი საიუბილეო საღამო თბილისის ს. ფალიაშვილის ოპერის და ბალეტის სახ. აკადემიურ თეატრში. ქართველების გვერდით ზეიმში მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის, უკრაინის და ყველა რესპუბლიკების ოფიციალური წარმომადგენლები.

20 ოქტომბერს მოსკოვში, კავშირების სვეტებიან დარბაზში მოეწყობა გურამიშვილის საიუბილეო საღამო და მეორე დღეს ლიტერატორთა სახლში გაიმართება პოეზიის დიდი საღამო.

საიუბილეოდ უკვე გამოცემულია ე. მადრაძის ბიოგრაფიული რომანი: „გოდება, ანუ დავით გურამიშვილის ცხოვრება.“, სამაგიდო მედალი, რომლის ავტორია მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი, ასევე დამზადებულია იუბილეს დღეებისთვის მზად იქნება „დავითიანის“ აკადემიური გამოცემა ქართულად, რუსულად და უკრაინულად, გ. ნატროშვილის და გ. ჯიბლაძის მონოგრაფია „დავით გურამიშვილი“, რუსულ ენაზე, გურამიშვილის ფსიქოლოგიური პორტრეტი და სხვა.

პატენტმძღვანელობის მიერ დავით გურამიშვილისადმი თავის ასეთი გამოდება შემთხვევითი არ არის და არც უანგარო, საბჭოთა პროპაგანდა ამ ზემისაც გამოიყენებს მისი „საბჭოთა ხალხების ურღვევი ერთობის“ წარმოსაჩენად და განსამტკიცებლად. საბჭოთა ორატორები შეეცდებიან, გურამიშვილის პოემის მოშველებით, ქართველ ხალხს უთხრან თუ რა უნუგეშო მდგომარეობაში იყო საქართველო რუსეთთან შეერთების წინ, ხოლო თვით პოეტის ცხოვრება წარმოადგინონ როგორც არქეტიპი დღევანდელი საბჭოთა ადამიანის, ე.ი. დენაციონალიზებული ადამიანისა.

ამ ვეუბატონებს უნდა მოვახსენოთ:

1. თუმცა დ. გურამიშვილი უმადური არ იყო რუსებისა, ის მაინც მთელი სიცოცხლის განმავლობაში მის სამშობლოს უმღეროდა, დასტიროდა და ევლებოდა თავს.
2. დ. გურამიშვილი თავის პოემებს წერდა ქართულად და არა რუსულად.
3. დ. გურამიშვილის დროს საქართველოს სპარსეთი, თურქეთი და ლეკეთი აწიოკებდა, მათგან, რომ თავი დაეცვათ, ქართველები რუსეთიდან ელოდნენ ხსნას. მას შემდეგ მდგომარეობა სრულიად შეიცვალა: დღეს რუსებია ჩვენი დამპყრობლები და არაფერს ზოგავენ ჩვენი ეროვნული სული რომ ამოგხადონ. დღეს რომ შეეძლოს გაიციხლება დავით გურამიშვილს, ის უეჭველად რუსეთის სახელმწიფოს მტერი იქნებოდა. მისი მგზნებარე მამულიშვილობა ამის საწინდარია.

უკანასკნელ წუთებში შევიტყვეთ, რომ პოლონეთის ქალაქ ლუბლინში გარდაიცვალა დამოუციდებელ საქართველოს იუნკერი, ტაბახმელას და კოჯორის გმირულ ბრძოლების მონაწილე ლადო ციბაძე.



ლ ა ლ ო გ უ ლ ი ა შ ე ი ლ ი

ა.წ. 20 ივლისს, 84 წლის ასაკში, გარდაიცვალა სახელგანთქმული მხატვარი ვლადიმერ(ლადო) გუღიაშვილი.

ხელოვანის მოხუცებულობა ია-ვარდით იყო მოფენილი. მან საყოველთაო აღიარება მოიპოვა. მისი ტილოები ამშვენებდნენ საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით თუ გარედ მოწყობლ ყველა ოფიციალურ გამოფენებს, ის დაჯილდოვებული იყო საბჭოთა რეჟიმის უმაღლესი ორდენებითა და სახელწოდებებით. ნიშნად უმაღლესი დაფასებისა განსვენებულის ნეკროლოგს ხელს აწერენ რეჟიმის უმაღლესი სანოენიკები, დასაფლავება ეროვნული გლოვის ხასიათისა იყო და ცხედარი მისი მიზარდა მთაწმინდის მწერალთა და სახ. მოღვაწეთა პანთეონს, იქ სადაც ჩვენს ერის სიამაყე დიდი ილია და აკაკი განისვენებენ.

მაგრამ ასეთი ია-ვარდებით როდი ყოფილა მოფენილი ლადო გუღიაშვილის მთელი სიცოცხლე. პირიქით, ის დიდად შევიწროებული იყო და ხშირად მისი სიცოცხლე ბეწვზე ეყიდა. სტალინის დიქტატორობის პერიოდში ლ. გუღიაშვილს „ფორმალისტის“ საფრთხობელა იარაღით ეკერა, მას ამცირებდნენ, როგორც ანტი-სოციალურ ელემენტს და გაბატონებულ „საბჭოთა რეალიზმის“ მიმდინარეობის მტერს. ამის საბაზი ჰქონდათ საბჭოთა ხელისუფალი: ჯერ ერთი, ლ. გუღიაშვილს სწავლა უცხოეთში ჰქონდა გასრულებული- დამოუკიდებლობის დროს, ლ. გუღიაშვილი, სამოც სხვა რჩეულ ქართველ ახალგაზრდასთან ერთად, დასავლეთ ევროპაში იყო გამოგზავნილი უმაღლესი კოდნის მისლებად, პარიზში ოციან წლებში ლადო გუღიაშვილი, დავით კაკაბაძე, ქეთევან მაღალაშვილი, ელენე ახვლედიანი და შალვა ქიქოძე ტრიპლიონზე, მეგობრობენ და საქმიანობენ ისეთ მსოფლიო მასშტაბის ხელოვნებთან, როგორც: მიდილიანი, ფუტია, პიკასო დაზნობოაგაა-რაუკ თავისთავად საკმარისი იყო, რომ რეჟიმისთვის ის არა სასურველი ყოფილიყო. ამ დიდი ნაკლის ვარდა, ლ. გუღიაშვილს მეორე დიდი ნაკლიც გააჩნდა რეჟიმის მიმართ, ეს გახლდათ ის, რომ ადრე ჰბატუკობიდანვე, თავისი მხატვრობის პირველი გამოფენა მან მოაწყო 1914 წელში, მას ხატვის თავისებური მანერა ჰქონდა, რომე-საც შეიძლება გუღიაშვილისეური ეწოდოს. გუღიაშვილი ერთგული დარჩა ამ თავისებური ხელ-წერის, რომელიც ხარკს არ უხდია დაბატონებულ „სოციალისტურ რეალიზმის“ სკოლას. ეს კი მეტიმტეტი თავებულისა იყო და ელდი მათგანით ახალგაზრდა დამწევე მხატვრებისათვის.

საბჭოთა პერიოდში, ლ. გუღიაშვილის მხატვრობის გამოფენა პირველად მოხერხდა მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1957 წელში. მაშინაც კინალამ ჩაიშალა. გამოფენის კომისიამ თვით მოინდომა გუღიაშვილის გამოსაფენ სურათების შერჩევა. მაშინ მხატვარმა უარი განაცხადა გამოფენაზე და მხოლოდ გიორგი ლეონიძის და სიმონ ჩიქოვანის თავდადებულმა ჩარევამ იხსნა ეს გამოფენა. გამოფენაზე მხატვარმა გუღიაშვილმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა.

შემოქმედება, ამბობს ლადო გუღიაშვილი თავის მოგონებებში, მოგესხენებათ, საერთოდ უტოლესი პროცესია, მასთან მისასვლელი გზა რთულია და იმდენი, რამდენი შემოქმედიც ქვეყნად არსებობს.“ და ამ თავისებურ გზას არ უღალატა ბოლომდე ლადო გუღიაშვილმა, თუმცა ეს გზა უადრესად ხიფათებიანი იყო, და ბლოს ნიჭმა და ურყევმა ნებამ გაიმარჯვა. ხელოვანთან ერთად ქეშმარტმა ხელოვნებამაც გაიმარჯვა.

ლადო გუღიაშვილს დარჩა ძვირფასი მემკვიდრეობა, რომელიც ქართველი კაცის სახელს კიდევ უფრო შორს გასწევს საკაცობრიო თვალსაწიერზე.

ამბობენ, რომ ლადო გუღიაშვილი იყო უადრესად კეთილშობილი, სათნო, კაცთმოყვარე და პატრიოტი. თავისუფლების ტრიბუნა მოწიწებით თავს ხრის მისი ცხედრის წინაშე.

ბ ი ბ ლ ი ა ა ხ ა ლ ქ ა რ თ უ ლ ზ ე

ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, რომელიც ქალაქ სტოკჰოლმში იმყოფება, გვთხოვს მკითხველებს ვაუწყოთ, რომ მან გამოსცა „ახალი აღთქმის“ წიგნი ახალ ქართულზე და მსურველთ შემუშლიათ მისი გამოწერა. თითო ცალის გამოწერა ღირს 40 შვ. კურონი(us \$ 40), ხოლო 5 ეგზემპლარის გამოწერის შემთხვევაში 20% დასადაკლებით. მისამართი:

ოთარ იოსელიანის ფილმები

„მოვლენა მოდის საქართველოდან“

ამ სათაურით ფრანგულმა ყოველდღიურმა დღის გაზეთმა „ლე მატენ“(2.7.1980) დაბეჭდა ბატონ მიშელ პერეზის წერილი. მიშელ პერეზი კინოს სპეციალისტია და მისი ეს წერილი აჯამებს იერის(საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის კუნძულები) საერთაშორისო კინო ფესტივალს. ქართველ მეთხველს ვთავაზობთ ამ სტატიის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ეხება ქართულ ფილმს.

ერთადერთი დიდი ფილმი, რომელიც ნაჩვენები იყო ახალგაზრდა კინოს დღეებზე, არ ყოფილა კონკურსში და ის ვახლავთ ოთარ იოსელიანის „პასტორალი“.

ახალგაზრდა კინოს საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც ეს-ეს არის დამთავრდა იერში, იყო თეატრი ერთი მნიშვნელოვანი შემთხვევის, მაგრამ ერთადერთის: ჩვენება საფრანგეთში ქართველი კინო რეჟისორის, ოთარ იოსელიანის ფილმის-პასტორალის-რომელიც საბჭოთა ხელისუფლებისაგან წლების განმავლობაში დამალულია ფართო მაყურებლებისათვის. კანის ფესტივალმა, რომელმაც ის ითხოვა, უარი მიიღო.

პასტორალი, რომელიც, როგორც ჩანს ძალიან ცოტად იყო ნაჩვენები საბჭოთა კავშირში, და სრულებით არა მის გარეშე, სრულყოფილი ფილმია. ის ერთდროშავე დროს სრულიად გამჭვირვალეა და რთული, და შეიძლება იყოს ყველაზე სრულყოფილი ნაწარმოები „იყო შაში მგალობელი“-ს და „ფოთლების ცვენის“ ავტორისა.

მართალია იერის ფესტივალზე ვნახეთ კობი უწარწეროდ, რომელიც დამძიმებული იყო რუსული განმარტებებით, რომლებიც ქართულ დიალოგებს აყრუებდნენ, მაგრამ პასტორალის მხედველობითი სიმდიდრე ისეთია, რომ სრულიად შესაძლებელია არ გესმოდეს არც რუსული, არც ქართულია მაინც ვანიცადოთ მისი მდიდარი მხატვრობა, დახვეწილი ჩვეულებები და ის საქმიანობა, რომელსაც ეწევა ერთი პატარა სოფლის საზოგადოება..

გასაგებია, რომ საბჭოთა მთავრობა თავს არ იღებს იმისთვის, რათა ამ ფილმმა, რომელიც თავდაბალი ძეგლია დეტენტრალიზებული კულტურის სადიდებლად, გაიმარჯვოს განთქმულ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

პასტორალი შეაწუხებდა მოსკოვს ისევე, როგორც ის შეაწუხა ფარაჯანოვის მეტად სომხურმა ფილმებმა. ეს არა იმიტომ, რომ დისიდენტის გონებამ შეიძლება მასში ნახოს სულიერი საზრდო, არამედ იმიტომ, რომ იქნებ ბიუროკრატია არაფერი ესმის საამურ ცხოვრების ქრონიკებს, რომლებიც ყოველდღიურად არიან განცდილი და სადაც არ მოჩანს არავითარი განსაკუთრებული იდეოლოგია.

რამდენადაც საშუალებას გვაძლევს ფრანგული წარწერების უქონლობა, შესაძლებელია ამ ფილმს უნდობლობა გამოუცხადეს დიდი გამჭვირვალობის გამო, ეს ერთადერთი ახსნაა იმ წინააღმდეგობისა, რომლის მსხვერპლიც იოსელიანი იყო. მაგრამ მას უკვე აღარ უფრთხიან, რადგანაც პასტორალი უნდა უჩვენონ ამ შემოდგომის დამდეგიდანე...“

მიშელ პერეზი

მიშელ პერეზის ამ წერილის გარდა, გაცილებით ადრე, სხვა ავტორების ქებაც წაგვიკითხავს ოთარ იოსელიანის „პასტორალზე“ და იმედი ვიქონიოთ, რომ ამ შემოდგომაზე რიგითი ფრანგი მაყურებლებიც ასევე დადებით შთაბეჭდილებებს გამოიტანენ ამ ფილმის ნახვის შემდეგ.

მისასაღმებელია, რომ არა მარტო ოთარ იოსელიანი, არამედ ბევრი სხვა ქართველი რეჟისორის ფილმები დიდი წარმატებით სარგებლობენ დასავლეთში და ხშირად გავიგონებთ ან წაიკითხავთ: საქართველოს კინო საბჭოთა კავშირის კინოს აკანიაო. მიუხედავად რეჟიმის სულთამხუთაობისა, ქართველი ხელოვნები ახერხებენ თამამად გამოვლენენ საერთაშორისო სარბიჭზე და იქ თავიანთი ორიგინალური სიტყვა თქვან. რუსთავის სახელობის თეატრთან ერთად ქართული კინოხელოვნება მსოფლიოში ღირსეული პრესტიჟით სარგებლობს, რამაც არ შეიძლება სიხარულით და სიამაყით არ აავსოს ქართველი კაცი.

აქვე მინდა, ძალიან მოკლედ, ჩემი აზრი გამოვთქვა ბ. ოთარ იოსელიანზე და მის



„ფოთლების ცვენაზე“ ანუ „გიორგობაზე“. რამოდენიმე მოკლემეტრაჟიან ფილმის გარდა, იოსელიანს გადაღებული აქვს სულ სამი ფილმი: 1966 წელს „ფოთლების ცვენა“, 1973-ში „იყო ისევე მგალობელი“ და 1976-ში „პასტორალი“. კინოს მცოდნეთა საერთო შეფასებით ი. იოსელიანის შემოქმედება ხასიათდება სულ მაღლა-მაღლა სვლით.

ი. იოსელიანს ჯერ მათემატიკური ფაკულტეტი აქვს დამთავრებული თბილისის უნივერსიტეტში, შემდეგ კი მოსკოვის კინოს ინსტიტუტი, სადაც ის იყო პროფ. დუვენკოს მოწაფე.

„ფოთლების ცვენის“ კადრი საქართველოს მევენახეობა და მეღვინეობაა. გაკვირვებულად ვთქვა, რომ ორივე ძლიერ ჩამორჩენილი ჩანს. ფილმის შინაარსი სულ მარტივია: ირგვლივ გამეფებულ მვენე ჩვეულებების გარემოცვაში ნაპერწკალივით ანათებს ერთი ახლად სწავლადამთავრებული, პატიოსანი, ერთგული და იდეალისტი ჭაბუკი-ნიკო. ლოლიკურად ეს ახალგაზრდა უნდა ილუბებოდეს, მაგრამ ალბათ პარტხელმძღვანელობამ ეს არ დაინება რეჟისორს და ფილმი მთავრდება სულ საწინააღმდეგოდ: მაშინ, როცა ყველა ელის, რომ ღირე-ქტორი ნიკოს სამსახურიდან მოხსნის, ის პირიქით ხელს ჩამოართმევს და მოუწონებს მოქცე-ვას. ფილმის ღირსება სიუჟეტის სიახლეში როდი ვახლავთ. არა, სიუჟეტი ისევე ძველია, როგორც საბჭოთა რეჟიმია, მაგრამ ფილმის ღირსება მის კადრებშია. მაყურებლის წინ რეჟისორი ოსტატურად დგამს გამაღიზიანებელ სარკეს და უჩვენებს იმ მანკიერებებს, რომლებიც გამეფებული არიან დღევანდელ, უფრო ზუსტად 1966 წლის, საქართველოში: ლოთობა—ქართული კაცის მუდმივი მტერი, ავარობა, ვაჟთა მიერ მათი დუღისინების დაჩქება და მის გამო ატეხილი ცემა-ტყევა ძველი თბილისური ავი ჩვეულებაა და ვერც ამას დავაბრალებთ საბჭოთა რეჟიმს, მაგრამ სიზარმაცე, ძმა-ბიჭობა, მამამებლობა, ბიუროკრატიაში, პირადი ინიციატივის ჩაკვლა და სხვა ამისთანაები სულ რეჟიმის ალალი შვილებია და ჩვენს ისტორიულ ნაკლოვანებებს ახალი, მეტად სავალალო ცუდი ჩვეულებები შემატეხია. აი ამ მანკიერებათა ხატოვანი წარმოსახვით რეჟისორი კარგ სამსახურს უწევს საზოგადოებას.

რეჟისორი ოთარ იოსელიანი ზედმიწევნით მგრძნობიერი და ამავე დროს მოაზროვნე ჩანს. როგორც ფილმიდან, ისე პირად საუბრიდან შთაბეჭდილება გრჩება, რომ ის უაღრესად პესიმიანია. პესიმიზმი ყოველთვის როდი ვახლავთ უარყოფითი, განსაკუთრებით ხელოვნებაში. პესიმიზმი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელმაც დაგვიტოვა უკვდავი „მერანი“. უსაშველო პესიმიზტი იყო ვალაქტიონი, როცა ის ქმნიდა: „მერის“, „მე და დამეს“, „მესაფლავეს“, „ლურჯა ცხენებს“ და სხვა შედეგებს. დე, ოთარ იოსელიანსაც დაეტეხოს მთისავით მისი მაყურებლები.

პარიზელი იმერელი

ა ჰ მ ე დ მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს ტ რ ა დ ი კ უ ლ ი ს ი კ ვ დ ი ლ ი

წელს, 5 ივლისს ქალაქ ბურსაში(თურქეთი) უცნობმა პირებმა მხეცურად მოკლეს ახმედ ოზკან მელაშვილი და მძიმედ დასტრეს მისი 24 წლის ვაჟი იბერი.

თურქეთიდან მოსული წერილები მოწმობენ, რომ იტალიური ქართველები აღმწოთებული და თავზარდაცემულია ამ საზოგადოებრივ მკვლელობით, განსვენებული დიდი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდა მათ შორის.

ახმედ მელაშვილი დაიბადა 1924 წელს ქალაქ ბალიქესირში, დაამთავრა საამშენებლო ინსტიტუტი და საქმიანობდა როგორც ინჟინერ-არქიტექტორი. პარალელურად, ახმედ ოზკანმა შეისწავლა ქართული და მთელი თავისი სიცოცხლე გატაცებით იღვწოდა, ერთის მხრით, თურქეთის ქართველების გათვითცნობიერებისათვის და, მეორე მხრით, ქართული მწერლობის, მტრე: ქართული ცივილიზაციის თურქეთში გავრცელების საქმეში. მას ნათარგმნი აქვს მრავალი ქართული კლასიკოსი თუ თანამედროვე ავტორი თურქულად, მათ შორის ერთი ნაწილი

„ვეფხისტყაოსნისა“, რომლის დასრულებაც მას მკვლევებმა არ დააყალბეს. ახმედისავე ხელმძღვანელობით გამოდიოდა ქართული კულტურის პერიოდული კრებული „ჩვენებური“. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ახმედ ოზკან მელაშვილი ხელმძღვანელობდა თურქეთში ქართული კულტურის სახლის აგებას. სახლის კედლები უკვე ამოყვანილი იყო. მის უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს გვთხოვდა ფინანსიურ დახმარებას. დღეს ყველაფერი ეს მკვლე-



ლებმა დროებით შეაფერხეს.

დღიდან „თავისუფლების ტრიბუნის დაარსებისა განსვენებულს ხშირი წერილობითი ურთიერთობა ჰქონდა ჩვენთან, წელიწადში ერთხელ მაინც გვიგზავნიდა თავისი საზოგადო საქმიანობის დაწვრილებით ანგარიშს, გვატყობინებდა მომავალ საქმიანობის გეგმებს. თავისუფლების ტრიბუნა მწარედ დასტირის ამ მხურვალე მამულშივლის ტრალიკულ სიკედლის, ქედს იხრის მისი ნათელი ხსოვნის წინაშე და სთხოვთ მეუღლეს, ქალბატონ იუქსელას, შეიღებს თამარს და იბერიას მიიღონ მისი ღრმად დამწუხრებული სამძიმარი.

„ო.ტ.“

მ წ უ ხ ა რ ე ბ ი თ ვ ა უ წ ყ ე ბ თ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს :

ა.წ. 17 თებერვას ქ. ნიუ-იორკში, 79 წლის ასაკში გარდაიცვალა ბატონი კოლა(კოლია) ქვარიანი.

74 წლის ასაკში გარდაიცვალა ბ. გედევან ასათიანი. ა.წ. 18 ივლისს მისი ცხედარი მიბარდა ქ. სენ-კლუს სასაფლაოს და 28 სექტემბერს დანიშნულია პანაშვიდი პარიზის წმიდა ნინოს ეკლესიაში, საკვირაო წირვის დამთავრების შემდეგ.

ა.წ. 22 აგვისტოს, პარიზში, 82 წლის ასაკში გარდაიცვალა ბ. ვალიკო წილოსანი და ორ სექტემბერს დასაფლავდა ლევილის სასაფლაოზე.

და ჩვენს დამწუხრებულ სამძიმარს ვუცხადებთ მათ უნუგუშო ოჯახების წევრებს.

უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ დ ი დ ო მ შ ი და დ უ პ უ ლ ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ძ ე გ ლ ის შ ე ს ა ხ ე ბ .

მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ქართველთათვის ძეგლის აგების იდეა უკვე ათიოდე წლის წინად დაიბადა. მაშინ ამ საქმის თაოსნობას განსვენებული ლევან ზურაბიშვილი აპირობდა, მაგრამ პრაქტიკულ ნაბიჯის გადადგამამდე საქმე არ მისულა. შემდეგ საქმის განხორციელება ბ. აკაკი შავგულიძემ ითავა, და ამით ძეგლისთვის საჭირო ფინანსური მხარეც გადაწყდა, რადგან ის მზად იყო შემოწირულებით შეგროვილ თანხისთვის თვითონ დაემატებია, რამდენიც საჭირო იქნებოდა. პარიზის ქართულ ჟურნალებში საამისო მოწოდებები გამოქვეყნდა. შემოწირულებებს დებულობდა აწ განსვენებული გიორგი(გოგლიკა) ვაჩანაძე, რომელიც შემდეგ შეცვალა ბ. რევაზ ვოდე-გოგლიძემ. საქმეს ხელმძღვანელობდა კომისია, რომლის კრებებს ბბ. შავგულიძის და ვაჩანაძის გარდა ესწრებოდნენ ბბ. გიორგი ნოზაძე, მიხეილ ქვეთარაძე, ვიქტორ ხომარკიცი, გიორგი ყიფიანი, რეზო გოგითიძე და ალექსი კობახიძე. ეს უკანასკნელი როგორც ძეგლის პროექტის შემდგენელი.

პროექტის განხილვას და მის საბოლოოდ მიღებას წელიწადზე მეტი მოუხდა. ძეგლის ამგებ ღსტატთან კავშირი ჰქონდათ ბბ. შავგულიძეს და კობახიძეს. კომისიამ მიიღო ძეგლის პროექტი: ორნახევარ მეტრის სიმაღლის, მეტრზე ცოტა მეტი სიგანის და ოცდაათ სანტიმეტრ სისქის ზედამართული მუქი ფრანტი. მისი მხოლოდ ერთი ფასადია მოლიპული, რომელზეც გამოსახულია ქვეიდან, თითქმის მიწიდან ამოშვერილი ორი მკლავი, მაყურებლისკენ მიმართული გაშვლილი ხელისგულით. ამ ორი ხელის ორ ცერზე ვადის ჯვარედით ჰკიდია ორღესული სწორი მახვილი. ხრმლის ვადაზე თეთრი გიორგია გამოსახული, ხლო ტარის თავი არწივის თავს წარმოადგენს. ძნელი არ არის კაცი მიხვდეს: მიწიდან ამოშვერილ ორ ხელის მიერ ამოტანილი მახვილი სიმბოლიური გამოსახვაა მკვედართა მიერ ცოცხლებისათვის დატოვებულ ანდერძისა. ძეგლს აწერია ქართულად და ფრანგულად: „საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულთა ხსოვნას“ და თარიღი 1941-1945, ფრანგულში სრულიად შემთხვევით სიტყვა „თავისუფლებისათვის“ ადგილას წერია „განთავისუფლება“. ამ წარწერის შინაარსი ასეთი იმიტომ იყო, რომ ძეგლი ორივე მხარეზე დაცემულ ქართველთა ხსოვნას ეძღვნებოდა. ამიტომ არის ნახმარი ქართულში „თავისუფლებისათვის“ და არა „განთავისუფლებისათვის“, მაგრამ ფრანგულ თარგმანში შეცდომა შეიპარა და იქ ნახმარია „განთავისუფლება“.



თარღის აღნიშვნამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია კომისიაში. ვ. ხომერკი წინადადებდა იყო თარღისა 1941 წელი და იცავდა 1939 წელს. უმრავლესობა კი მომხრე იყო 1941-45-ის. ეს მოსაზრება იმით იყო დასაბუთებული, რომ 1941 წელზე ადრინდელი პერიოდი საქართველოს არ შეეხებოდა, რადგან ჩვენი ქვეყანა ამ თარღზე ადრე ომში ჩაბმული არ ყოფილა და ვინც ამაზე ადრე დაიღუპა, ის საქართველოსთვის დაღუპულად ვერ ჩაითვლებოდა.

მიმდინარე წლის მიისის ბოლოს ძველი მზად იყო და კიდევაც დაიდგა ლევილის სასაფლაოზე. ოფიციალური გახსნა შემოდგომისთვის იყო დანიშნული. ამის ერთი კვირის შემდეგ, ბბ. ვ. ხომერკიმა და ა. შავგულიძემ ლევილის მერისგან წერილები მიიღეს, რომლებიც აუწყებდათ მათ მერიაში მიწვევას ძველის ვარშემო არსებულ გართულებათა გამო. ზემოხსენებულ პირების გამოძახება გამოწვეული იყო იმ ამბით, რომ ძველის მიწის ნასყიდობის აქტში აღნიშნულია: მიწა შეძენილია ბ. შავგულიძის მიერ ქართულ კოლონიისათვისა.

დანიშნულ დღეს ლევილის მერიაში შეიკრიბნენ მუნიციპალიტეტის ოთხი წევრი, მერის ჩათვლით, ხოლო ქართველებიდან ბბ. შავგულიძე, ხომერკი, ქავთარაძე და ლ. ფალავა. მერმა განაცხადა: ქართველები დავიბარე, რადგან ძველი დადგმულია საქირო წესების დაუცველად და თვით ძველის ზოგიერთი მხარე საკოქმანოაო. მან ჩამოთვალა: 1. მიწა ნაყილია საფლავისთვის, მაშინ, როცა იგი მემორიალისთვის არის გამოყენებული. 2. ნაყილია მხოლოდ ერთი საფლავის ზომა, ხოლო დაკავებულია მინიმუმი სამის ადგილი. 3. ძველი დადგმულია ნებაართვის უფიქვლად, მაშინ, როცა ასეთ მემორიალისთვის განსაკუთრებული ნებაართვაა საჭირო. ეს უფიქვოდ საქმის ფორმალური მხარეა, მაგრამ არის მეორე საკითხი, რომელიც თვით ძველის ხასიათს შეეხება: რას ნიშნავს და რატომ არის ძველზე არწივის გამოსახულება, რომელიც ნაციისტურ არწივს მოგვაგონებს და რატომ აწერია თარღი 1941 წელი. (წარწერის შინაარსზე მას საკითხი არ აღუძრავს). მერს აუხსენეს, რომ არწივის თავი მხოლოდ ხრმლის ტარის სამკაულია და მას გერმანულ არწივთან საერთო არა აქვსა. მერს აჩვენეს სურათი ლენინგრაძში, მუზეუმში, შენახულ მეჩვიდმეტე საუკუნის ქართული ხმლისა, რომლის შთაგონებითაც არის გამოხატული ძველზე. რაც შეეხება თარღს, ეს არის გერმანიის მიერ საბჭოებზე თავდასხმის თარღი. ვინაიდან ეს ძველი იმ ქართველებს ეძღვნება, რომლებიც გერმანია-საბჭოების შორის წარმოებულ ომის დროს დაღუპვნენ და ამას კი ადგილი ჰქონდა 1941-45 წლებში. მერს ისიც განუმარტეს, რომ ამ ომს ქართველებისათვის სამოქალაქო ომის ხასიათი ჰქონდა-ქართველები ორივე მხარეზე იბრძოდნენ, სამას ათასზე მეტი ქართველი დაიღუპა-და რომ ეს ძველი ყველა იმათი მოსაგონარია, განურჩევლად იმისა თუ ვინ რომელ მხარეზე იბრძოდა. დაბოლოს, მერს ისიც მოხსენდა, რომ ფრანგულ ტექსტში შეტყობით არის ნახმარი „განთავისუფლებისათვის“, რომელიც უნდა გასწორდეს სიტყვა „თავისუფლებისათვის“-ო.

მერმა, როცა ყველაფერი ეს მოისმინა თქვა: ახლა ჩემთვის ყოველივე გასაგებია, მაგრამ სხვაგვარად, რომ არ იქნეს გაგებული, უმჯობესია არწივის თავი მოშალოთ, 1941-45 მაგიერად დაწეროთ „უკანასკნელი მსოფლიო ომი“ და ფრანგული ტექსტის მცდარი სიტყვა გაასწოროთ. რაც შეეხება ფორმალურ მხარეს, ესეც, რა თქმა უნდა, წესიერად უნდა გაკებდეს. ამის შესახებში ოქმი დღეა დაიწერა, სადაც ნათქვამი იყო, რომ ზემოაღნიშნულ პირობების შესრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტი ერთი თვის ვადაზე ადრე თავის გადაწყვეტილებას გამოიტანსო. მანამდე კი ვიდრე საქირო სამუშაო ჩატარდება, ძველი გადაფარებული უნდა დარჩესო. ოქმს რვა დამსწრემ ხელი მოაწერა და ოქმის ასლები დაურიგდა ყველას. საქმის კეთილად დაგვირგვინების აღსანიშნავად მერმა შამპანიური გახსნა და დამსწრეებმა ერთმანეთს კიჭები მიუჯახუნეს.

ათორღე დღემ, რომ ვაიარა მერმა ჩვენი სათვისტომოს თავმჯდომარეს შეატყობინა, რომ მუნიციპალიტეტმა დაადგინა: ძველი ერთი კვირის განმავლობაში უნდა აღებულ იქნასო. ამის გარდა, მერის დაფაზე გამოკრულ იქმნა უხეში ტონით შედგენილი ფურცელი, რომელშიც ძველის დამდგმულა საქიელი დახასიათებული იყო, როგორც ნეოდაზისტიური და ნაციისტიური გამოხსვლა და, რომ ლევილი ქართველები ამ საქმეს უარყოფითად უყურებდნენ, ისინი ძველის არსებობის წინააღმდეგი არიანო, მოხდა ხელახალი შეხვედრა მერთან. როცა მას კითხეს, რამ გამოიწვია შეთანხმების დარღვევა და მისი აზრის გამოცხადება, მან განუცხადა: ოქმის დაწერის შემდეგ, მე ქართველებისგან ისეთი ინფორმაციები მივიღე, რომელთა გაცნობამ თქვენდამი ნღობა დამაკარგვიაო. ძველი თუ აღებული არ იქნება ჩვენ თვითონ ავალბინებთო.

ამის შემდეგ მხოლოდ ის რჩებოდა, რომ ან მერის მოთხოვნას უნდა დამორჩილებოდნენ, ან გაეასაჩივრებიათ ზემდე უწყებაში, მაგრამ ბ. ვ. ხომერიკმა მერთან შეხვედრამდე განაცხადა, რომ ის მერისთან უთანხმოების წინააღმდეგაა და ისეთ ზომას როგორც საჩივრია, მხოლოდ მაშინ უნდა მიემართოთ თუ მერია ოქმში აღნიშნულ პირობათა შესრულების შემდეგაც უარს გავტყვის ძეგლის ხელახლად დადგამაზე. ამრიგად ძეგლი აღებულია და იმყოფება ოსტატთან სახელსწრში.

ძეგლის კომისიის წევრი

შედომის გასწორება: ამის წინა ნომერში ჩვენ დავგმეთ სოფ. ლევილის მერის მიერ აკრძალვა სასაფლაოზე თავმოყრისა დამოუკიდებლობის ღვთაწაწაწის ღღეს. როგორც გამოიჩვენა ასეთ ფორმალურ აკრძალვას ადგილი არ ჰქონებია. უსიამოვნო განწყობილების გამო, ჩვენს მომდგარს, მამა ილიას თვით მიუღია გადაწყვეტილება აღარ ეწირა სასაფლაოზე. ამის თაობაზე ჩვენი საყვედური ბ. ხომერიკის მიმართ, თავისთავად ცხადია, მოხსნილია და შეიხვედრების წინაშე ბოღის ვიხდით, რომ ჩვენდა უნებურად მცდარი ცნობა მივაწოდეთ. „თტ.“

ს ა მ ხ ე დ რ ო გ ა დ ა ტ რ ი ა ლ ე ბ ა თ უ რ ქ ე თ შ ი

12 სექტემბერს ჩვენს მეზობელ თურქეთში მოხდა სამხედრო გადატრიალება სისხლის დაუღვრელად. სამხედრო იერარქიის წარმომადგენლებისგან შექმნილმა „ეროვ. უშიშროების საბჭომ“, რომელსაც თურქეთის ჯარების მთავარი შტაბის უფროსი გენერალი კენან ევრენი თავმჯდომარეობს, ხელში აიღო სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფლება.

ვინც ამ ქვეყანას თვალი-ყურს ადევნებდა, მისთვის ეს ამბავი მოულოდნელი არ არის. ამ უკანასკნელ წლებში თურქეთის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა ძალიან გაუარესდა, მან მიიღო ანარქიული ხასიათი. ფულის გაფასება წლიურად 100%-მდე აღწევდა, შრომის ნაკადი იყო ძალიან დაბალი, უმუშევრები აქტიურ მოსახლეობის 20% შეადგენდა, გაფიცვები ჰქონდა ხშირი და მასიური ხასიათი და რაც მთავარია, ქვეყანაში მძვინვარებდა მემარცხენეების და მემარჯვენეების ტერორი, რომლის მსხვერპლი საშუალოდ 20-25 ათასი იყო ღღეში. მხოლოდ მიმდინარე წელიწადში, სამხედრო გადატრიალებამდე, ტერორისტებმა მოკლეს 2500 ათასე მერი. თურქეთს მორიგეობით მართავდა ხალხის რესპუბლიკის და სამართლის პარტიები. პირველის ლიდერი იყო ბულენტ ეჯევითი და მეორის სოლეიმან დემირელი. ვერცერთმა ვერ შეძლო ქვეყნის უმთავრესი სატკივრების განკურნება. ამას დაემატა პარლამენტარული პარალიზი, მეჯლისმა ვერ შეძლო ქვეყნის პრეზიდენტის არჩევა. მმართველ პარტიას სურდა არჩევნების დაუყოვნებლივ მოწყობა, ოპოზიცია კი ამის ნებას არ აძლევდა. ყველაფერი ეს ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს ტრიატარული ავანტიურისას

გენერალმა კენან ევრენმა თავის მიმართვაში სხვათა შორის განაცხადა, რომ ქვეყნის დაშლის მიზანების შემდეგ, უახლოეს დროში სახელმწიფოს სადაცეებს გადაცემს დემოკრატიულად არჩეულ სამოქალაქო ხელისუფლებას. იმედი ვიქონიოთ, რომ ისინი მხედრულ სიტყვას შეასრულებენ.

შ ე მ ო წ ი რ ო უ ლ ე ბ ე ბ ი ფ რ ა ნ გ უ ლ ფ რ ა ნ კ ე ბ შ ი

ზეინაბ, სალომე და ოთარ ზურაბიშვილი—დაუვიწყარი მეუღლისა და მამის, ლევანის			
არისტოტელ გველესიანი-----	100,	ანემარ და დავით ვაშაძე -----	300,
ნამეტია გოგუაძე -----	100,	ქეთევან ბელი -----	50,
აკაკი გამსახურდია -----	50,	თამარ მუსხელიშვილი -----	100,
ქანტე და მიშა გოგორიშვილი -----	200,	ილო ემუხვარი -----	50,
მართა სტურუა -----	30,	ნიკოლოზ ბედულაძე -----	100,
მანა და გიორგი ყავკალაშვილი -----	100,	მიშა ხუნდაძე -----	100,
ქრისტეფორე იმნაიშვილი -----	50,		
ნიკოლა ანთაძე -----	100,		
		ჯამი	1930,00